

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 21 მარტი. 2024 წ. №34 (9714) ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


„აქა მოსვლითა გაყრმდების"...



# ირაკლი კობახიძემ რუსთავში სპორტული კომპლექსი ილია თოფურიასთან ერთად გახსნა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ რუსთავში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი UFC-ს ჩემპიონ ილია თოფურიასთან ერთად გახსნა.**

ილია თოფურიას სპორტკომპლექსში გულშემატკივრები დახვდნენ. პრემიერმა მას კიდევ ერთხელ მიულოცა UFC-ის ჩემპიონობა და მადლობა გადაუხადა გამოჩენილი გმირობისთვის.

**„მინდა, მივულოცო რუსთაველებს დღევანდელი დღე, სპორტკომპლექსის გახსნა. კიდევ ერთხელ ვულოცავ ილია თოფურიას UFC-ს ქამარს, რომელიც დღეს რუსთავშია. ოთხი-ხუთი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ქამარი იქნებოდა რუსთავში და ამ ქამარს ჩამოიტანდა არაჩვეულებრივი, ღირსეული კაცი ილია თოფურია. კიდევ ერთხელ მადლობა მას პატრიოტიზმისთვის და მივულოცოთ წარმატება",** – აღნიშნა **პრემიერმა.**

* * *

სპორტული კომლექსის გახსნისას მადლობა გადაიხადა **ილია თოფურიამ: მინდა, უდიდესი მადლობა მოვახსენო ყველა ადამიანს, რომელმაც დრო დამითმო იმისთვის, რომ დღეს აქ მოსულიყო ჩემ სანახავად, მხარის დასაჭერად. მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს სახელმწიფოს, რუსთავის მერიას, რომ ყოველთვის ინვესტიციას აკეთებენ ჯანსაღ ცხოვრებაში, მომავალი თაობის განვითარებაში. მინდა, ყველა იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა, ვინც 07:00 საათზე ადგა, რათა მხარი დაეჭირა, ექომაგა ჩემთვის. მადლობა ყველას!..**




დღეს საქართველო-ლუქსემბურგის საფეხბურთო მატჩს დაესწრება, სადაც საჩემპიონო ქამარს წარადგენს.



⑨ სრულიად საქართველოს ტაძრების წინამძღოლთა დარბაზი



# ⑤ გურჯი ხათუნისა და მისი ვაჟის ნეშტი ერზურუმის სასაფლაოზე

პაველ ჰერჩინსკი:

# საქართველო ევროკავშირში როგორც კი შევა!..



**როგორც კი საქართველო ევროკავშირში შევა, საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე სრული შრომითი უფლებებით ისარგებლებენ, მათ შორისაა სოციალური დაცვა და სავალდებულო დაზღვევა, ოფიციალური დასაქმება, ხელფასები და პენსიები,** – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, **პაველ ჰერჩინსკიმ** განაცხადა, რომელმაც სოციალური მედიის საშუალებით საქართველოს მოქალაქეების კითხვებს უპასუხა.

ელჩის განცხადებით, **ევროკავშირი და საქართველო ერთად მუშაობენ საქართველოს მოქალაქეებისთვის სამუშაოსა და შრომის ბაზრის განვითარებაზე მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების გაფართოების, შრომის პოლიტიკის გაუმჯობესების და მეწარმეობის სწავლების მხარდაჭერის საშუალებით.**

დღის ციტატა:



**...ყოველგვარი ირონიისა და ნიშნის მოგების გარეშე – გვითხრან მაინც რას ავალებენ, ვინ ავალებს რა პატრონები ჰყავთ ასეთი, რომ ვერ ბედავენ ფეხის გადადგმას, ერთი სიტყვის თქმას და ერთ ხელმოწერას ასეთ პროაქტიულ ევროპულ რეზოლუციებზეც კი. მივეხმარებით იმაში, რომ თავი დაიხსნან მათ დავალებების მიღებისგან. წარმოიდგინეთ, ოთხი დეპუტატიდან ორმაც კი ვერ გაბედა იმ რეზოლუციაზე ხელმოწერა, რომელზეც ვერ იტყვიან ვერც ერთ სიტყვას, რატომ არ მოაწერეს ხელი. ათას თავის მართლებას მოიფიქრებენ, ან არ ვიცოდით, ან რაღაც, მაგრამ დარიგებულ ტექსტზეა საუბარი, რომელზეც ასევე დამატებით პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდა ოპოზიციის წარმომადგენლებთან მაკა ბოჭორიშვილს და მათ ვერ გაბედეს ხელმოწერა. ძალიან სამწუხაროა, რომ უკრაინელებმაც ხელი არ მოაწერეს რეზოლუციას, სადაც საქართველოს გარდა, უკრაინაზეც იყო საუბარი...**

**მამუკა მდინარაძე.**

შალვა პაპუაშვილი:



# ② რა ფასი აქვს ჟურნალისტიკას, რომელიც სინამდვილეს ამახინჯებს!

# გაყიდული ჯიში და გენი

# ⑥ ისრაელი საქართველოდან დაავადებული ემბრიონების შეტანის საქმეს იძიებს



# რა ფასი აქვს ჟურნალისტიკას, რომელიც სინამდვილეს ამახინჯებს!




Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

## შალვა პაპუაშვილი: საქართველო ჟურნალისტებისთვის თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი თავისუფალი არიან დეზინფორმაციის გავრცელებაში!

**ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მედიის თავისუფლებით, მთავრობის კრიტიკის გარდა, ჟურნალისტების სიმართლისადმი ერთგულებითაც უნდა იყვნენ დაინტერესებული, რათა მათი პროფესიის დისკრედიტირება არ მოხდეს,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი წერს.**

პაპუაშვილის განცხადებით, **„საქართველოს მედია ადვოკატირების კოალიციამ“** ახლახან გაავრცელა განცხადება, რომლითაც „გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტის დისკრედიტების გამო“ ხუთი ევროპული ორგანიზაციის გამოხმაურების ფაქტი იზეიმა.

**„მედიის თავისუფლების სწრაფი რეაგირების“ პარტნიორებმა განაცხადეს, რომ ჩემი კომენტარები ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის შესახებ „საქართველოში დამოუკიდებელი მედიის სახელის გატეხვის კამპანიის საერთო ტალღის ნაწილი“ იყო. აღსანიშნავია, რომ ეს ბრალდებები თავად არის დეზინფორმაცია როგორც, ზოგადად, საქართველოში მედიის თავისუფლების თაობაზე, ისე, კონკრეტულად, ჩემს კომენტარებზე. რამდენად გამოჩენილი ჟურნალისტია გელა მთივლიშვილი ეს ცალკე საკითხია, თუმცა ეს განცხადების მთავარი უზუსტობა არაა. საქმე უფრო ღრმა პრობლემასთან გვაქვს, რის ახსნასაც აქ კიდევ ერთხელ შევეცდები.**

**შოვის სტიქიის არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტური გაშუქების მიმართ ჩემი დამოკიდებულება საჯაროდაა ცნობილი. ჩემს არაერთ განცხადებაში აღმინიშნავს, რომ გასულ აგვისტოს მთივლიშვილის მიერ შოვის სტიქიის გაშუქება შეიცავდა გადაუმოწმებელ ინფორმაციას, რაც მისი კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის მიმართ ეჭვებს აჩენდა. მოგვიანებით დამოუკიდებელმა შვეიცარიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც სტიქიის გამომწვევი მიზეზები შეისწავლა, დაადასტურა გარემოს ეროვნული სააგენტოს პირველადი დასკვნა და ამით დაადასტურა, რომ მთივლიშვილის მტკიცებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა: ის ამბობდა, რომ ხელისუფლებამ უგულებელყო სტიქიამდე მდინარის დაგუბება, რაც მცდარი აღმოჩნდა; იგი გვიყვებოდა, რომ ტრაგედიის მიზეზი ტყის ჭრა გახდა, რაც, ასევე, არასწორი აღმოჩნდა; იგი ამტკიცებდა, რომ დამცავი ნაგებობა შეაკავებდა მეწყერს, რაც ტყუილი გამოდგა; დაბოლოს, იგი ამტკიცებდა, რომ ადრეული გაფრთხილების სისტემის არსებობის შემთხვევაში ტრაგედია არ მოხდებოდა. თუმცა, კვლავ და კვლავ, მიუკერძოებელმა ექსპერტებმა საპირისპირო თქვეს: არანაირ სისტემას არ შეეძლო ამგვარი მასშტაბის სტიქიის თაობაზე საკმარისი დროით ადრე, წინასწარი გაფრთხილების მოცემა.**

**მართალია, მთივლიშვილის მიერ შეთხზული საქმე, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ტრაგედიის თავიდან არიდება, საბოლოოდ ჩამოიშალა, მაგრამ მის მიერ სტიქიის ეპიცენტრიდან გადმოცემულმა მცდარმა ვარაუდებმა, რომლებიც საზოგადოებას მიეწოდა, როგორც ფაქტები, დაამძიმეს ისედაც რთული ვითარება, რომელშიც სტიქიის მსხვერპლები და მათი მგლოვიარე ოჯახები აღმოჩნდნენ. სტიქიის მისეული გადმოცემა შორს იყო ჟურნალისტური სტანდარტებისგან და ადამიანური ემპათიისგან. თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, თავისი „აღმოჩენები“ მოგვიანებით ჟურნალისტური გამოძიებით დასათაურებულ ფილმად ექცია, რომელმაც ზოგიერთი უცხოური უწყების ქებაც კი დაიმსახურა.**

**მთივლიშვილის დეზინფორმაციის მხილება მნიშვნელოვანია, რადგან სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ მისი არასწორი რეპორტაჟი განზრახ ტყუილებს შეიცავდა, რომელთა მიზანიც პანიკის გავრცელება იყო. ამიტომ, მსგავსი „ჟურნალისტური პროდუქტის“ გაკრიტიკება ჩვენი ვალდებულებაც კი არის, რათა აღვკვეთოთ დეზინფორმაციის მომავალი მცდელობები“,** – წერს **პაპუაშვილი.**

მისივე თქმით, არცერთმა ჟურნალისტურმა ორგანიზაციამ არც კი სცადა სიმართლის დადგენა, ისე დაიცვეს გელა მთივლიშვილი.

**„საუბედუროდ, არცერთმა ჟურნალისტურმა ორგანიზაციამ არც კი სცადა სიმართლის დადგენა, ისე დაიცვეს მთივლიშვილი. როგორც ჩანს, ეს ჟურნალისტური სოლიდარობის საჩვენებლად გაკეთდა, იმაზე დაუფიქრებლად, რომ ამით კორპორატიული სოლიდარობა უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე საზოგადოების უფლება – მიეღო სწორი ინფორმაცია. არადა, რა ფასი აქვს ჟურნალისტიკას, რომელიც ინფორმაციას ამახინჯებს? ეს კონკრეტული შემთხვევა კარგი ილუსტრაციაა იმ სენისა, რომელიც ქართულ „კრიტიკულ“ მედიასა და მათ უცხოელ პარტნიორებს სჭირთ. ნებისმიერი კრიტიკა და ბრალდება, რომელიც მედიის მხრიდან ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული, აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული, როგორც ნამდვილი, სამართლიანი და ჭეშმარიტი, მხოლოდ იმის გამო, რომ ჟურნალისტის მხრიდან მომდინარეობს. ამავე დროს, ხელისუფლების ოფიციალური პირების მხრიდან ეჭვის ნებისმიერი გამოხატვა, თუნდაც არგუმენტებით გამყარებული, მიიჩნევა „ლეგიტიმური მედია საშუალებების დისკრედიტაციად და მედიისადმი გაძლიერებული უნდობლობის გაღრმავებად“, როგორც ეს ზემოთ ხსენებულმა რამდენიმე უცხოურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გააკეთა. ხოლო თუკი, ღმერთმა არ ქნას, ოფიციალური პირი კრიტიკას გაიმეორებს, მაშინ მისი პოზიცია უკვე როგორც მედიის წინააღმდეგ „სისტემური ზეწოლა“ ფასდება“,** – ახსნადებს **პაპუაშვილი.**

**ეს კონკრეტული შემთხვევა კარგი ილუსტრაციაა იმ სენისა, რომელიც ქართულ „კრიტიკულ“ მედიასა და მათ უცხოელ პარტნიორებს სჭირთ.**

**როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, საქართველო ჟურნალისტებისთვის თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი თავისუფალი არიან დეზინფორმაციის გავრცელებაში.**



# დეზინფორმაცია კომპლექსური გამოწვევაა!

### ასუნსიონ სანჩეს რუისი: დეზინფორმაციასთან ბრძოლა ცხრა ნაბიჯიდან პირველია, რომელიც საქართველომ უნდა გადადგას

**ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ დეზინფორმაციასთან, უცხოეთიდან საინფორმაციო მანიპულაციასთან და ჩარევასთან ბრძოლა ევროკავშირის გზაზე საქართველოს ცხრა ნაბიჯიდან პირველია, რომელიც საქართველომ უნდა გადადგას, რომ ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით წინ წავიდეს,** – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ, პოლიტიკის, პრესისა და ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელმა, **ასუნსიონ სანჩეს რუისმა** განაცხადა, რომელმაც სოციალური მედიის საშუალებით საქართველოს მოქალაქეების კითხვებს უპასუხა.

მისივე თქმით, ევროკავშირი მხარს უჭერდა და გააგრძელებს საქართველოში დეზინფორმაციის, უცხოეთიდან საინფორმაციო მანიპულაციისა და ჩარევის საწინააღმდეგო სხვადასხვა სახის აქტივობის მხარდაჭერას.

**„დეზინფორმაცია კომპლექსური გამოწვევაა, რომელსაც უნდა გავუმკლავდეთ თანმიმდევრულად და მრავალი მხრიდან შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ფაქტების შემმოწმებლების, აკადემიური წრეების, მედიისა და სხვა ძირითადი აქტორების მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით. ევროკავშირი მხარს უჭერდა და გააგრძელებს საქართველოში დეზინფორმაციის, უცხოეთიდან საინფორმაციო მანიპულაციისა და ჩარევის საწინააღმდეგო სხვადასხვა სახის აქტივობების მხარდაჭერას. ჩვენი ძალისხმევა ეხმარება საქართველოს საზოგადოების სიფხიზლის და მედეგობის გაძლიერებას და ხელს უწყობს მიდგომას, რომელიც მოიცავს მთელ საზოგადოებას, სადაც ყველას თავისი როლი აქვს.**

**დეზინფორმაციასთან საბრძოლველად ძირითადი ადგილობრივი აქტორების შესაძლებლობებს ვაძლიერებთ და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობისა და ისეთი მნიშვნელოვანი უნარების გაუმჯობესებაში ვეხმარებით, როგორებიცაა მთავარი ფაქტების შემოწმება, მედია წიგნიერება და ციფრული წიგნიერება. ეს საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის თემატური ტრენინგების საშუალებით კეთდება, მათ შორის ახალგაზრდებისა და უმცირესობებისთვის; ასევე მასწავლებლებისთვის და სხვა ძირითადი გამავრცელებლებისთვის აუცილებელი რესურსების მიწოდების მეშვეობით“,** – განაცხადა **ასუნსიონ სანჩეს რუისმა.**

ასუნსიონ სანჩეს რუისის განმარტებით, ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს დამოუკიდებელ მედიასა და საგამოძიებო ჟურნალისტიკას, თანამშრომლობს ფაქტების შემმოწმებლებთან საინფორმაციო სივრცის სანდო, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციით შესავსებად და მცდარი წარმოდგენების აღმოსაფხვრელად.

№34. ხუთშაბათი, 21 მარტი, 2024 წელი.



# მიზანი მზაკვრულია – სასამართლოს დაჩმორება და დამორჩილება!



## რას ამბობს ვენეციის კომისია?!

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი მიქაუტაძის განცხადებით, დაწყებულია ცილისმწამებლური კამპანია, რათა მოსამართლეების „ვეტინგის“ სისტემით შემოწმების საფუძველი შეიქმნას. როგორც მან აღნიშნა, თბილისის ყოფილ მთავარ პროკურორს, მაია მწარიაშვილს სასამართლოში უჩივის. მიქაუტაძე მწარიაშვილს მის ქონებასთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს, ამიტომ სარჩელით მწარიაშვილისგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას მოითხოვს.**

როგორც მიქაუტაძემ უზენაეს სასამართლოში ჟურნალისტებს განუცხადა, ბოლო პერიოდში, სასამართლო ხელისუფლების მიმართ დაწყებულია მორიგი კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ე.წ. „ვეტინგის“ სისტემით მოსამართლეების შემოწმებას. მოსამართლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ დაინტერესდნენ, თუ რა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი აქვს „ვეტინგის“ ინიციატივას, ასევე დაინტერესდნენ, ენახათ მტკიცებულებები, თუ რატომ გაჩნდა ასეთი ინიციატივა, მსგავსი მტკიცებულება ვერ მოიპოვეს.

**„სამაგიეროდ ჩვეული მეთოდებით დაწყებულია ცილისმწამებლური კამპანია, რომ მაქსიმალურად შეუქმნან საფუძველი „ვეტინგის“ სისტემით შემოწმების ჩატარებას. ტყუილია მწარიაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ხელფასით შევიძინე 2,5 ჰა მიწა. არაერთ დეკლარაციაში მიწერია, რომ მე და ჩემმა მეუღლემ შევიძინეთ 2 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. მწარიაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის ტყუილი. ჩემი ქონება დეკლარირებული მაქვს“,** – აღნიშნა **გიორგი მიქაუტაძემ.**

რადიკალური ოპოზიცია და მასთან ასოცირებული ა-ო კი „ვეტინგის“ სისტემის ამოქმედების აუცილებლობაზე საუბრობენ და მაგალითად მოჰყავთ იგივე ალბანეთი, სადაც მათივე შეფასებით, წარმატებით ფუნქციონირებს „ვეტინგის“ სისტემა. როგორც ირკვევა, ალბანეთში მოქმედი დაახლოებით 280 მოსამართლიდან 35-მა მოსამართლემ დატოვა თანამდებობა პირადი განცხადებით, ანუ დაახლოებით 1/3-მა შეინარჩუნა თანამდებობა, დანარჩენი, დაახლოებით 150 მოსამართლე, განდევნილ იქნა სისტემიდან სწორედ ე.წ. ვეტინგის საფუძველზე.

ე.წ. ვეტინგის პროცედურა, რომელიც 2015-2016 წლებიდან დაიწყო, ჯერ კიდევ დასრულებული არ არის და არ არსებობს პროგნოზი, როდის დასრულდება და რა შედეგით. იგივე უკრაინაში ე.წ. ვეტინგის პირველი ეტაპი დაიწყო 2016 წელს, რის შედეგადაც 2000-მდე მოსამართლემ დატოვა თანამდებობა, რომელთა არასრული ჩანაცვლებაც მოხდა „სასურველი“ კადრებით, რასაც მოჰყვა კრიზისი სასამართლო სისტემაში, კადრების უკმარისობის გამო, რაც უარყოფითად აისახა მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე.

როგორც მოსამართლე **სერგო მეთოფიშვილი** აცხადებს, 2025 წლის 1 იანვრიდან საქართველოში უქმდება მოსამართლეთა 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნა და, შესაბამისად, შემდეგი წლიდან ყველა მოსამართლე უვადოდ გამწესდება საპენსიო ასაკამდე, გამოსაცდელი ვადის გარეშე, რაც აშშ-ის და ევროკავშირის კატეგორიული მოთხოვნა იყო წლების განმავლობაში, ვინაიდან, მისი თქმით, მათივე მოსაზრებით, გამოსაცდელი ვადა ზღუდავდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. ახლა კი, იგივე სუბიექტები ითხოვენ უვადოდ დანიშნული მოსამართლეების სრულ, ხელახალ შემოწმებას, რაც თითოეულ მათგანს თავის დროზე გავლილი აქვს.

**„ასე პერიოდულობით, იმავე წარმატებით შეიძლება „ვეტინგის“ მოთხოვნა, როცა მავანს მოესურვება, რაც ერთმნიშვნელოვნად სასამართლო სისტემის და ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შემლახველ აშკარა მოდელს შექმნის. ნათელია, რომ ე.წ. ვეტინგის მხარდამჭერად გვევლინებიან ის მოსამართლეები, რომლებიც არ არიან იმ 57 მოსამართლის სიაში, რომლებსაც ე.წ. ვეტინგი უნდა შეეხოს.**

**ე.წ. ვეტინგის ინიციატორებისა და განმახორციელებლებისთვის ობიექტურობა მეასეხარისხოვანია. მთავარი მიზანია სასამართლო ხელისუფლების დაშინება, მასზე ანგარიშსწორება და დამორჩილება. ამ ლოგიკით, ხარემ „ვეტინგის“ მომხრეებმა მოითხოვონ, პირდაპირ კანონში ჩაიწეროს, რომ როდესაც მათ აქაურ არასამთავრობოებს და რიგ დონორებს მოესურვებათ, სასამართლო სისტემაში ჩატარდეს ე.წ. ვეტინგი, ანუ გახსნილად გამოცხადდეს „მოსამართლეებზე ნადირობის სეზონი“.**

**ეს ყველაფერი იმის ფონზე, როდესაც ძალიან მწარე გამოცდილება აქვს ჩვენს ქვეყანას იმ არაოფიციალური „ვეტინგის“, რომელიც სასამართლო სისტემაში 2004-2005 წლებში ჩატარდა და მოსამართლეთა დიდი უმრავლესობა განდევნილ იქნა სისტემიდან, მაშინაც სწორედ „სასამართლოს გაჯანსაღების“ ლოზუნგის საფარქვეშ“,** – აღნიშნა **სერგო მეთოფიშვილმა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე **ლევან თევზაძე** აცხადებს, რომ ჩვეულებრივი 37-ანი წლებია. ახლა უკვე ე.წ. ტროიკებით სურთ უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეების გასამართლება. მისი თქმით, თუ „ვეტინგის“ საჭიროება არის, გამოდის, რომ სასამართლო სისტემა არ არის კეთილსინდისიერი და ჩართულია კორუფციაში, რისი მტკიცებულებაც უნდა არსებობდეს.

**„თუ ეს ასეა, დადეთ, ბატონებო, ეს მტკიცებულებები, მაგრამ როცა არ არის, რას დადებთ?! თქვენ ხომ ჭორებზე და პირად ინტერესებზე დაყრდნობით გსურთ, წინასაარჩევნოდ შექმნათ ილუზიები უზენაესი სასამართლოს ცუდ მდგომარეობაზე“,** – წერს **ლევან თევზაძე** სოციალურ ქსელში.

კარგია, რომ 2023 წელს უკრაინაში დაიჭირეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რამდენიმე მილიონის ქრთამის აღების ფაქტზე, მაგრამ ცუდია, რომ „ვეტინგი“ უკრაინაში 2016 წლიდან ხორციელდებოდა და მხოლოდ 2023 წელს გამოავლინეს თავმჯდომარის კორუფციის ფაქტი.

**ცუდია, რომ ნონა წოწორიამ არ ახსენა მისი მონაწილეობა სხვა ქვეყნებში განხორციელებულ „ვეტინგთან“ მიმართებაში, მათ შორის მოლდოვაში, სადაც სამსახურიდან გაათავისუფლეს მოქმედი მოსამართლეები და, ალბათ, საქართველოშიც იმავეს აპირებენ. მართლაც ცუდია, რომ მოსამართლეთა „დაკითხვებში“ უშუალოდ მონაწილეობდა თავად ნონა წოწორია, და, ალბათ, ასეთივე ფორმით აპირებენ საქართველოში მოსამართლეთა განკითხვას და სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელებას“,** – აცხადებს **ლევან თევზაძე.**

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ დაუშვებელია „ვეტინგის“ სისტემის შემოღება, ვინაიდან არსებობს ვენეციის კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ „ვეტინგი“ იწვევს სასამართლო სისტემის პარალიზებას და სასამართლო კორპუსი ორიენტირებულია არა მართლმსაჯულების განხორციელებაზე, არამედ არის წნეხის და ზეწოლის ქვეშ, რაც უმრავლესობის წევრის **ანრი ოხანაშვილის** აზრით, რა თქმა უნდა, არ არის მისაღები. როგორც დეპუტატმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, არავითარი ობიექტური გარემოება არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში „ვეტინგის“ სისტემის შემოღებაზე იყოს საუბარი.

**„ვენეციის კომისიას აქვს ნათქვამი, რომ „ვეტინგის“ სისტემა არის უკიდურესი ზომა და ყველაზე რადიკალური ზომა, რაც კი შეიძლება იქნეს გამოყენებული და ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ექსტრემალურ სიტუაციაში. თუ ვინმეს უნდა წარმოაჩინოს, რომ საქართველოში რაიმე ექსტრემალური სიტუაციაა და ამით ახსნას, ეს საფუძველს მოკლებულია. ამასთანავე, „ვეტინგის“ შედეგებზე აქვს გამახვილებული ყურადღება ვენეციის კომისიას და აქვს ნათქვამი, რომ „ვეტინგი“ იწვევს საზოგადოებაში უნდობლობის გაღრმავებას და არა ნდობას სასამართლოსადმი. საზოგადოებაში აყალიბებს განწყობას, რომ ისინი არ ენდობიან მართლმსაჯულების სისტემას, რომ ეს იწვევს სასამართლო სისტემის პარალიზებას და სასამართლო კორპუსი ორიენტირებულია არა მართლმსაჯულების განხორციელებაზე და სიმართლის დადგენაზე, არამედ არის წნეხის და ზეწოლის ქვეშ. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება ამ მოდელთან დაკავშირებით ვინმემ თქვას, რომ ეს არის პოზიტიური“,** – განაცხადა **ანრი ოხანაშვილმა.**

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წევრი **თამთა მეგრელიშვილი** აცხადებს, რომ „ვეტინგი“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი და მისი საბოლოო მიზანია პოლიტიკური კონტროლი განახორციელოს სასამართლო ხელისუფლებაზე.

**„ვეტინგი“ პირდაპირ ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას და კონსტიტუციურ სამართლებრივ პრინციპებს. ეს ჩემზე კარგად იციან მოსამართლეებმა, ამიტომ, ვფიქრობ, გასაკვირია კონკრეტულ მოსამართლეთა ზერელე დამოკიდებულება საკუთარი პროფესიისადმი. რთული წარმოსადგენია და მეტიც, ქართული სამართლის დაცინვაა მცდელობა, ისეთი უმაღლესი ლეგიტიმაციის პირი, როგორიც მოსამართლეა, უცხო ქვეყნის მოქალაქემ შეაფასოს. არ მჯერა, რომ კონკრეტულ მოსამართლეთა მზაობა „ვეტინგის“ სისტემისადმი მათი დამოუკიდებელი პოზიციაა, აბა, როგორ შეიძლება საკუთარი საქმიანობის განხორციელებაზე მოსამართლეს სურდეს პოლიტიკური კონტროლი?!“,** – აცხადებს **მეგრელიშვილი.**

**თამთა ქარჩავა**

## ხელბორკილები აფხაზ გოგონას! – რატომ?!

### კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ცვლილებებია შესატანი...

**ამ რამდენიმე დღის წინ, ენგურის ხიდთან, სოფ. რუხში, ქართული სპეცსამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს და ხელბორკილები დაადეს აფხაზ გოგონას, რომელიც სოხუმიდან თბილისში მიემგზავრებოდა ქართული პასპორტისა და საქართველოს მოქალაქეობის მიღების განზრახვით.**

თურმე აფხაზ გოგონას დაურღვევია სააკაშვილის რეჟიმის მიერ მიღებული უვარგისი კანონი „ოკუპირებული რეგიონების შესახებ“, რომელიც კრძალავს რუსეთიდან აფხაზეთის გავლით საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებზე შემოსვლას. აფხაზი გოგონა, რომელიც პროფესიით არის ექიმი, მუშაობს მოსკოვის ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში. სწორედ რომ მოსკოვიდან ჩამოვიდა თავის მშობლიურ სოხუმში, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ მიემართებოდა თბილისისკენ, რადგან ეს გზა უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ისევ მოსკოვში ჩასვლა და ასე საქართველოში შემოსვლა.

15 წელი გავიდა ამ კანონის მიღებიდან და ამ ხნის განმავლობაში გარდა ზიანისა, არაფერი სასიკეთო რამ ამ კანონს არ მოუტანია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის! ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 4 წლამდე – ასე წერია ამ კანონში.

ხომ არ მოვიდა დრო საქართველოს ხელისუფლებამ იფიქროს ამ ძალიან მკაცრი კანონის შემსუბუქებაზე. ხომ შეიძლება, აფხაზეთში მცხოვრებნი, რომელთა უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა ასე მკაცრად არ დასაჯონ, ან ხომ შეიძლებოდა ეს აფხაზი გოგონა უკან გაებრუნებინათ და ასე არაადამიანურად არ მოქცეოდნენ (გული წაუვიდა და სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო!). ან თუნდაც პიროვნება, თანაც აფხაზი, თუ ის კეთილი განზრახვით შემოდის საქართველოში, რა მნიშვნელობა აქვს საიდან შემოვა, ფსოუდან თუ ლარსიდან.

ამჟამად ეს აფხაზი გოგონა სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. ასეთი უხიაგი, არაადამიანური მოპყრობის შემდეგ, მას და მის თანამემამულეებს მოუნდებათ კი საქართველოსკენ გამოხედვა? ასე ვაპირებთ აფხაზეთთან ურთიერთობებისა და კავშირების აღდგენას? ამიტომაც, ვამბობ, რომ ალბათ ამ ფორმით ამ კანონის არსებობა დაუშვებელია და ცვლილებებია შესატანი, რათა ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთთან დაახლოებაში ხელი არ შეეშალოთ.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან.

№34. ხუთშაბათი, 21 მარტი, 2024 წელი.

**თახსირი ტიპები უკვე თანამდებობებს ინაწილებენ**




# გვარამია თუ მელია პრემიერ-მინისტრად?..

**გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიციური პარტია „ახალი“-ს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად შესაძლოა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკა გვარამია დასახელდეს. თუმცა, რაიმე კონკრეტული განცხადება პარტიას ამ დრომდე არ გაუკეთებია. შესაბამისად, არსებობს მხოლოდ სავარაუდო ვერსია, რომ ნიკა გვარამიას ჰქონდეს პრეტენზია, იყოს პრემიერობის კანდიდატი.**

პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში თვლიან, რომ გვარამიას ახალ პარტიას დღეს არ აქვს ის რეიტინგი, რომ მის ლიდერს პრემიერ-მინისტრად გახდომის ამბიცია ჰქონდეს. ამასთან, მიიჩნევა, რომ პარტია „ახალი“, მისი ლიდერების წარსულიდან გამომდინარე, მაინც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** აცხადებს, რომ პარტია „ახალთან“ დაკავშირებით განსაკუთრებული მოლოდინი არ აქვთ. მისივე თქმით, პარტიის წარმომადგენლები რა მითითებებსაც მიიღებენ დამფინანსებლისგან, ზუსტად ისე მოიქცევიან.

**„ეს არის ღირებულებებისგან დაცლილი ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ზუსტად ისე მოიქცევიან, რა მითითებასაც მიიღებენ დამფინანსებლისგან. ასე რომ, მათთან დაკავშირებით განსაკუთრებული მოლოდინი არ გვაქვს. საქართველოს მოქალაქეებმა ზეპირად იციან, თითოეული მათგანი სად იმყოფება ღირებულებების შკალაზე. ასე რომ, რთულია, ამაზე სხვა რამ ითქვას. რა მითითებებსაც მიიღებენ, ზუსტად ისე მოხდება“**, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის მიუღებელია ნიკა გვარამიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარის, ნიკა მელიას ხელისუფლებაში მოსვლა. როგორც მან For.ge-სთან საუბარში აღნიშნა, ამ პოლიტიკური პირების პოლიტიკურად გააქტიურებამ შესაძლოა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა მობილიზება და გააქტიურება გამოიწვიოს.

* * *

**„გამოდის, რომ ნიკა გვარამია თავს აცხადებს მისი პარტიის თავმჯდომარედ და თვლის, რომ პრემიერობისთვის ყველაზე ღირსეული კანდიდატია. ნიკა გვარამიას პოლიტიკურ წონაზე მეტი წონა უდავოდ მიხეილ სააკაშვილს აქვს. პარტია, რომელსაც აიგივებენ სააკაშვილთან, ვერ იღებს საიმისო ხმებს, რომ ამ პარტიის თავმჯდომარე ხაზეიშვილმა პრემიერობა შეძლოს. რა ლოგიკას შეიძლება ეყრდნობოდეს გვარამიას განაცხადი, რთული სათქმელია.**

**შეიძლება „ოცნებამ“ მიიღოს უფრო მეტი ხმა, იმდენად დაუშვებელია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გვარამიას ხელისუფლებაში მოსვლა. ვფიქრობ, იგივე მდგომარეობაა ნიკა მელიას სახელთან დაკავშირებითაც. მისი გააქტიურება გამოიწვევს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა გააქტიურებას. სააკაშვილის მომხრეებით კეთდება „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი და სავარაუდოა, რომ „ნაცმოძრაობის“ რეიტინგის ჩანაცვლება გაუჭირდებათ ამ ახალ ფიგურებს ისევე, როგორც გაუჭირდათ მაგალითად, ბოკერიას „ევროპულ საქართველოს,“ ვაშაძის „აღმაშენებელს“ და ა.შ.**

**ვინც დისტანცირდა „ნაცმოძრაობისგან“ იმისთვის, რომ დისტანცირებული ყო სააკაშვილთან, შედეგად მიიღეს ის, რომ ამომრჩეველმაც უფრო დიდი დისტანცია დაიჭირა და ხმები მათ, პრაქტიკულად, არ აქვთ. შესაბამისად, არც ახალ ფიგურებს ექნებათ. ოპოზიციურ ფლანგზე ვერ მიხვდნენ, რომ მხოლოდ პოზიციონერობა – „ხელისუფლება არ გვინდა“, – საკმარისი არაა“**, – განაცხადა **რამაზ საყვარელიძემ.**

* * *

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** აცხადებს, რომ ახალდაფუძნებული პარტიის ლიდერების მხრიდან მსგავსი ტიპის განცხადება, რომ მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებში ისინი 5%-იან ბარიერს გადალახავენ, არასერიოზულია. მისი შეფასებით, გვარამიას და მელიას „ახალი“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდება.

**„რადგან ორი პოლიტიკოსი ასე რიხით შემოვიდა პოლიტიკურ არენაზე და მათი წარსულიდან გამომდინარე, მტკიცებით ფორმაში ამბობენ, რომ გადალახავენ 5%-იან ბარიერს, ცოტა არაპროფესიონალურია. უნდა ვნახოთ ამ პარტიის რეიტინგი. ინფორმაცია, რომ გვარამიას საკუთარი თავი წინასწარ გამარჯვებული ჰგონია, ცოტა არასერიოზული მგონია. არ ვფიქრობ, რომ გვარამიას ახალ პარტიას ამის პერსპექტივა ჰქონდეს. საზოგადოების თვალში გვარამიას და მელიას პარტია მიიჩნევა, როგორც „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი მორიგი განაყოფი და მათ უნდა შეძლონ საზოგადოების დარწმუნება, რომ მათი პარტია რამით არის ახალი.**

**მათი ყოფილი ლიდერები, გვარამია, მელია თუ სხვა ყოფილი ნაციონალები, საკუთარ „ნაციონალურ“ წარსულს ვერ გაექცევიან. არც ერთ მათგანს არ შეუფასებია საკუთარი წარსული, ბოდიშიც არ მოუხდიათ საზოგადოების წინაშე. მათი განცხადებებიდან პირიქით ჩანს, რომ თავიანთ წარსულ საქმიანობას პოზიტიურად აფასებენ. შესაბამისად, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ხალხს მათ მიმართ, რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს. არც ერთი საშუალო ზომის პარტიას არ აქვს იმის პოტენციალი, რომ იყოს „ნაცმოძრაობის“ ჩამნაცვლებელი“**, – განაცხადა **ზაალ ანჯაფარიძემ.**

პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ნიკა გვარამიასა და ნიკა მელიას პოლიტიკურ გაერთიანებას საარჩევნო ბარიერის გადალახვის რესურსი არ აქვს. ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რამდენად აქვს გვარამიას პრემიერ-მინისტრობის პერსპექტივა, კობახიძე პასუხობს, რომ „თანამდებობები ჯერ ერთმანეთში უნდა გაიყონ“.

**„რა თქმა უნდა, არასერიოზულია ეს ყველაფერი, ბარიერის გადალახვის რესურსი ამ ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას, ბუნებრივია, არ აქვს. შესაბამისად, დანარჩენი ცარიელი საუბრებია,** – განაცხადა **კობახიძემ.**

---

**ყველაზე დიდი და არასაიმედო ბაზარი ისევ იცვლება...**



# რუსეთისთვის ჩამოსხმული ქართული ღვინის პერსპექტივა

**რუსეთი ღვინოზე აქციზს ასამმაგებს. ქართული ღვინის ამ ყველაზე დიდ ბაზარზე მომხდარი ცვლილება, ერთი მხრივ, მოთხოვნის შემცირების მიზეზი ხდება, მეორე მხრივ კი – სტიმული ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ტრადიციულად, რუსულ ბაზარზე ყველაზე იაფი და უხარისხო ქართული პროდუქცია იყიდება.**

თუ დღეს რუსეთში ყოველ გაყიდულ ერთ ლიტრზე აქციზის გადასახადი 34 რუბლია (თითქმის 1 ლარი), მაისიდან 108 რუბლი (3 ლარი) ხდება. აქციზი ოთხ-ოთხი რუბლით მოიმატებს მომდევნო წლებშიც. 2013 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის ბაზარი ქართული ღვინისთვის გაიხსნა, ის ამ პროდუქტის მთავარი მომხმარებელი გახდა. ბოლო წლებში, მათ შორის უკრაინის ბაზრის თითქმის დაკარგვის შემდეგ, რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზარდა და 61-65%-ს შორის მერყეობს.

**„ეს არის ბაზარი, სადაც ყველაზე კარგად იცნობენ და ადვილად ყიდულობენ ქართულ ღვინოს. წლებია საჭირო, სხვა ბაზრებზე ასეთივე პოპულარული რომ გახდე“**, – ამბობს ღვინის ეროვნული სააგენტოს ყოფილი თავმჯდომარე **გიორგი სამანიშვილი** და ამატებს, რომ **აქციზის ზრდა რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტს შეამცირებს, – ეს შემცირება „გრანდიოზული“ არ იქნება, მაგრამ (ექსპორტს) უნდა დაეტყოს“.**

აქციზი რომ იზრდებოდა, ქართულმა კომპანიებმა 2023 წლის ბოლოს უკვე იცოდნენ და ახლა ქართველი მეღვინეები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ღვინის შეტანა მოასწრონ რუსულ ბაზარზე აქციზის აწევამდე. მათ შორისაა კომპანია „ასკანელიც“, რომელიც წარმოებული ღვინის დიდ ნაწილს, დაახლოებით 70%-ს, რუსეთში ყიდის.

**„ახლა იტვირთება ეს ღვინო და მაისამდე უნდა შევიდეს და განბაჟდეს. შემდეგ ალბათ ტემპი „დავარდება“. ახლა ჩივიან, რომ რუსული ბაზრის წილი (2024 წლის) პირველი ორ თვეში 80% გახდა, ეს დროებითია. ყველა მსხვილი რუსი შემსყიდველი ახლა ცდილობს, სანამ განაკვეთი გაზრდილა, მეტი წაიღოს“**, – ამბობს კომპანიის დირექტორი **ირაკლი უგლავა.**

საქსტატის მონაცემებით, იანვარში საზღვარგარეთ გატანილი ქართული ღვინის 74% რუსეთში გაიყიდა. ბოლო წლებში რუსეთში ღვინის გაყიდვების ზრდას ხელი იმანაც შეუწყო, რომ რუსეთმა ევროპულ კომპანიებს განსაკუთრებულად დიდი აქციზი დაუწესა. ამან ქართულ ღვინოზე, რომელსაც „არამეგობრული ქვეყნების“ მიმართ გატარებული ზომები არ შეხებია, მოთხოვნა გაზარდა.

**„მათთან (ევროპელებთან – რ.თ.) შედარებით შეღავათიან რეჟიმში (შეღავათიანი – რ.თ.) ვიყავით და ვანაცვლებდით მათ პროდუქტს. იტალიურს, ესპანურს, ფრანგულს... რუსულ ბაზარზე ამიტომ იყო ზრდა. ახლა აქციზის მატება, ჩვენი მოლოდინით, მოხმარებაზე აისახება, რადგან დახლზე ღვინის ფასი 15-20%-მდე იზრდება. ადამიანების გარკვეული კატეგორია ალბათ წავა შედარებით იაფი სასმელისკენ, როგორიცაა არაყი ან ლუდი“**, – ამბობს „ასკანელის“ დირექტორი.

აქციზის მატებაზე მეტად ქართული ღვინის გასაღებაზე რუსეთში შესაძლოა შეღავათების მოხსნამ იმოქმედოს. ქართული პროდუქტისთვის „პრეფერენცირებული რეჟიმის“ გაუქმებას რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა ასოციაცია მოითხოვს, რადგან ქართველ იმპორტიორებს იგივე პირობები აქვთ, რაც ადგილობრივ რუს მეწარმეებს.

**„კრიტიკული შეფასებებიც იყო ექსპერტებისგან, რომ ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლება. რამდენადაც ვიცი, ოფიციალურ დონეზე ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა და იმედი მაქვს, არ გადაიდგმება. ბატონი გიორგი ქაჯაია (რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერის ახალი მრჩეველი – რ.თ.), ალბათ, გააგრძელებს ყურადღებით ამ თემაზე მუშაობას“**, – ეუბნება რადიო თავისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის უკვე ყოფილი მრჩეველი **ზურაბ აბაშიძე.**

**იანვარში საზღვარგარეთ გატანილი ქართული ღვინის 74% რუსეთში გაიყიდა. ბოლო წლებში რუსეთში ღვინის გაყიდვების ზრდას ხელი იმანაც შეუწყო, რომ რუსეთმა ევროპულ კომპანიებს განსაკუთრებულად დიდი აქციზი დაუწესა. ამან ქართულ ღვინოზე, რომელსაც „არამეგობრული ქვეყნების“ მიმართ გატარებული ზომები არ შეხებია, მოთხოვნა გაზარდა.**

იხ. 7 გვ.



# ლიახვისპირელი მწერლის, დრამატურგისა და მოძღვრის უკვდავსაყოფად

**მიმდინარე წლის მიწურულს (18 დეკემბერს) ცნობილ მწერალს, დრამატურგსა და მოძღვარს მერაბ ელიოზიშვილს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება.**

**12 მარტს, საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა შეხვედრა, სადაც იმსჯელეს გულქართლი ერისკაცისა და მოძღვრის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნის თაობაზე.**

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი. მან მადლიერებით აღნიშნა, რომ ქართული სიტყვის დიდოსტატის, მერაბ ელიოზიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს ოპერატიულად გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის ფლაგმანი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".

სახელოვანი თანამემამულის 77-წლიან ცხოვრებასა და ნაყოფიერ მოღვაწეობაზე მოკლედ და დამაჯერებლად ისაუბრა მწერალმა, და პუბლიცისტმა რობერტ ოდიკაძემ.

2012 წლის იანვრიდან, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის სამაჩაბლოელი მობინადრის რუდუნებით გზა-განვლილის შესახებ აზრი გამოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეებმა ზაღათერ არაბულმა, ბადრი ქუთათელაძემ, მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ზაალ ბოტკოველმა, პოეტმა და დრამატურგმა მზია ხეთაგურმა, გამომცემლობა„მერანის" დირექტორმა მანანა გორგიშვილმა, კინოდოკუმენტალისტმა გივი ყურელმა.

**მწერალთა სახლში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა:**

**1. 2024 წელი გამოცხადდეს გამორჩეული ერისკაცისა და მოძღვრის მერაბ ელიოზიშვილის წლად;**

**2. იუბილე ჩატარდეს შემოდგომით – ოქტომბრის დასაწყისში;**

**3. დაარსდეს მერაბ ელიოზიშვილის სახელობის ყოველწლიური პრემია;**

**4. მომზადდეს და გამომცემლობა ,,მერანში" დაიბეჭდოს დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ერთტომეული;**

**5. თბილისის მერიას ეთხოვოს: ა) დედაქალაქში, ცხინვალელი შემოქმედის საცხოვრებელი ბინის (ს. ცინცაძის ქ. №32 ) ფასადზე განთავსდეს მწერლის მემორიალური დაფა;**

**ბ) თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მერაბ ელიოზიშვილის სახელი;**

**6. სახელოვან მწერალს, დრამატურგსა და მოძღვარს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა გორელებთან, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მეუფე ისაიასთან. ამიტომაც, გორის მერიასთან დაისვას საკითხი, რათა ქართლის მეთაური ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მერაბ ელიოზიშვილის სახელი.**



მწერალთა სახლში შეხვედრის დროს

**რობერტ ოდიკაძე,**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# გურჯი ხათუნისა და მისი ვაჟის ნეშტი ერზურუმის საძვალეში

თურქეთში საქართველოს ელჩი **გიორგი ჯანჯღავა გურჯი ხათუნის** განსასვენებლის დადგენასთან დაკავშირებით ახალ ინფორმაციას ავრცელებს.

**„ძვირფასო მეგობრებო, მსურს, გაგიზიაროთ ქართველი საზოგადოებისა და ისტორიოგრაფიისათვის აქამდე უცნობი და მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ეხება გურჯი ხათუნის განსასვენებლის ადგილმდებარეობის დადგენის საკითხს:**

**მოგეხსენებათ, ანატოლიის სელჩუკთა ისტორიის ამსახველი წყაროები მწირია. იბნ ბიბი, ქერიმუდდინ აქსარაი, აჰმედ ეფლაკი და შუა საუკუნეების სხვა ავტორები თავიანთ ძირითად შრომებში მოგვითხრობენ ქართველთა სამეფოსა და მცირე აზიის სელჩუკთა რუმის სასულთნოს კავშირებსა და ისტორიაზე, იმდროინდელი მმართველების ურთიერთობებზე, ასევე, რასაკვირველია, გურჯ ხათუნზე. თუმცა, ცნობებში, მათ შორის, იბნ ბიბის Selzukname-ში არსად არ არის მოხსენიებული მისი საბოლოო განსასვენებელი.**

**გურჯი ხათუნის საფლავის შესახებ არაფერს წერენ არც ევროპელი ისტორიკოსები და მკვლევრები, მათ შორის, ენდრიუ სპენსერ პიკოკი, ჯონ ფრილი, დევიდ ტელბოტ რაისი და სხვები. როგორც მოგეხსენებათ, ქართული ისტორიოგრაფიისთვისაც ბოლო პერიოდამდე უცნობი იყო გურჯი ხათუნის საფლავის ადგილმდებარეობა.**

**ამ კონტექსტში, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ სულ ახლახან მივაკვლიე ქართული საზოგადოებისთვის უცნობ, შუა საუკუნეების ავტორის, ნიღდელი ქადი აჰმედის (1286-1333) სპარსულენოვანი მანუსკრიპტის თურქულ თარგმანს, რომლის ორიგინალიც სულეიმანიეს ბიბლიოთეკის ხელნაწერთა საცავში ინახება. ამ სქელტანიან ნაშრომში არაერთხელაა ნახსენები საქართველო, ქართველები, თამარ მეფე და, რა თქმა უნდა, გურჯი ხათუნიც. ხელნაწერში, სამ სხვადასხვა ადგილას ავტორი აღნიშნავს, რომ გურჯი ხათუნი, მის ვაჟთან, სულთან ალაედდინ ქეიქუბად II-სთან ერთად, ქ. ერზურუმში განისვენებს.**



**როგორც ადრეც გაუწყეთ, 2019 წელს მქონდა პატივი, პირველს მომენახულებინა გურჯი ხათუნის ახლადაღმოჩენილი სავარაუდო განსასვენებელი ქ. ერზურუმში. ზემოხსენებულ მწირ წერილობით და ასევე, ზეპირ წყაროებზე დაყრდნობით, გაღვივდა იმედი, რომ ერზურუმში აღმოჩენილი ეს სარკოფაგი სწორედ გურჯ ხათუნსა და მის ვაჟს ეკუთვნით. ამასთან, ისტორიული სიმართლის დასადგენად, ჩვენი მოთხოვნით, საძვალეში არსებულ ნეშტებს ჩაუტარდათ დნმის ანალიზი. თურქულ მხარესთან ერთად, ვაგრძელებთ მუშაობას აღნიშნული მიმართულებით და მაქვს დიდი იმედი, რომ მალე სასიხარულო სიახლეებს ვამცნობთ ფართო საზოგადოებას**", – წერს **გიორგი ჯანჯღავა.**





# დიდმარხვის პირველი შაბათი

**23 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია იხსენიებს თეოდორე ტირონს. იგი დაიბადა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქალაქ ალასიაში.**

ამბობენ, რომ იმპერატორ გალერის (305-311) მეფობის დროს თეოდორე ტირონს შავი ზღვის სანაპიროზე მოსთხოვეს მსხვერპლშეწირვა კერპებისთვის, რაზეც მან უარი განაცხადა. ამისთვის იგი აწამეს.

წმიდა თეოდორე ტირონი სიზმარში მოევლინა არქიეპისკოპოსს და დაავალა, გაეფრთხილებინა ქრისტიანები მხოლოდ მოხარშული ხორბალი თაფლით (კოლიო) ეჭამათ!

**გიული ლიპარტია**

# კახეთიდან გაზაფხულის ალმანახი გვეწვია

**გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს" 2024 წლის პირველი ნომერი.** ჟურნალი იხსნება **მაყვალა გონაშვილის** 65 წლისთავისადმი მიძღვნილი მილოცვებით.

„მხატვრული ლიტერატურის" რუბრიკით ქვეყნდება **ფარნა რაინას**, **გიორგი გიგაურის, თამარ კოლელიშვილის, გიგა ტუხიშვილის** ლექსები; **ლანა მანველის** რომანის „სად არის ბედნიერება" გაგრძელება, **ვანო ჩხიკვაძის, ნინო ჭელიძის, დიანა მეტონიძის** მოთხრობები.

რუბრიკით „ბავშვებისთვის საკითხავი" გაეცნობით **მაია დიაკონიძის** საბავშვო მოთხრობებს.

რუბრიკაში „პოეტისა და მამულიშვილის გახსენება" იბეჭდება **სოსო ჩხუბიანიშვილის** ლექსები.

„თარგმანის" განყოფილებაში ქვეყნდება **სარა ტისდეილის** ლექსები. თარგმნა **ოთარ ცისკაძემ**.

„კრიტიკა-პუბლიცისტიკის" რუბრიკაში წაიკითხავთ **როინ ჭიკაძის, ზაალ ბოტკოველის, ნანა რჩეულიშვილის** წერილებს.

რუბრიკით „იმედისმომცემი თაობა მოდის" იბეჭდება **მაია გვიჩიას** „გოგონა მეშვიდე კლასიდან".




გარეკანის პირველ გვერდზე გთავაზობთ **ელენე ახვლედიანის** ნახატს „თელავი".

ჟურნალი „ოლე" გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი)** და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი)** მხარდაჭერით.

# გაყიდული ჯიში და გენი

## ისრაელი საქართველოდან დაავადებული ემბრიონების შეტანის საქმეს იძიებს



**ისრაელის პოლიცია ხელოვნური განაყოფიერებისთვის განკუთვნილი დაავადებული ემბრიონების საქმეს იძიებს. ემბრიონები, რომლებიც გენეტიკურ დეფექტს შეიცავდნენ, ისრაელში საქართველოდან შეიტანეს. საქართველოში მოქმედი სუროგაციისა და დონაციის სააგენტოების მომსახურებით უმეტესად, უცხოელი წყვილები სარგებლობენ. ისრაელის მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ისრაელის პოლიციამ ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად თვეების წინ დაიწყო.**

**როგორც რადიო თავისუფლებას ეუბნებიან საქართველოს პროკურატურაში, ისრაელმა საგამოძიებო უწყებას სამართლებრივი დახმარების ფარგლებში მიმართა. როდის და კონკრეტულად რა დახმარებას ითხოვდა ისრაელი და რა დახმარება გაუწია ქართულმა მხარემ, ამ დეტალებს პროკურატურა არ ასაჯაროებს.**

**გენეტიკური დაავადების მქონე ემბრიონების საქმეზე, რამდენიმე დღის წინ, თელ-ავივში დააკავეს ორი ექიმი – ინ ვიტრო განაყოფიერების კერძო კლინიკის მთავარი ექიმი და ერთ-ერთი კლინიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. 18 მარტს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ექიმები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. გამოძიება მათ თაღლითობასა და მძიმე დაავადების გავრცელებას ედავება.**

ისრაელის მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოდან წაღებული ემბრიონები ისრაელის მოქალაქეებს გადაუტანეს. ერთი ახალშობილი თანდაყოლილი დაავადებით გაჩნდა. მეორე ნაყოფი მკვდარი დაიბადა. როგორც ისრაელის მედია იტყობინება, ამ დროისათვის, მხოლოდ სამი დაზარალებული ქალის შესახებ არის ცნობილი, თუმცა, გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ემბრიონები გენეტიკური დაავადებით, შესაძლოა მეტ ქალს გადაუტანეს. ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოდან გაგზავნილი ემბრიონები შეიცავდნენ **ჰემოფილია B-ის** გენს.

**ჰემოფილია არის იშვიათი გენეტიკური დაავადება, რომლის დროსაც ვერ ხერხდება სისხლის ნორმალური შედედება არასაკმარისი შემადედებელი ცილების (შედედების ფაქტორების) არსებობის გამო.**

ბრალდებულების ადვოკატები აცხადებენ, რომ ექიმებმა ყველა ის გამოკვლევა ჩაატარეს, რაც ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს პროტოკოლითაა გათვალისწინებული ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურის შესრულებისას. ამავეს ამბობს **ლიკა ჭყონია,** ადამიანის რეპროდუქციისა და ემბრიოლოგიის საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე და ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკის „რეპროარტის" დამფუძნებელი.



ლიკა ჭყონია

მისი თქმით, ქართულმა კლინიკამ, რომელსაც კვერცხუჯრედის დონაციისთვის მიმართეს პაციენტებმა ისრაელიდან, ისრაელის მთავრობის პროტოკოლით განსაზღვრული ყველა კვლევა ჩაატარა. ეს პროტოკოლი კი, როგორც ლიკა ჭყონია ამბობს, არ მოიცავს კვლევას ისეთ გენეტიკურ დაავადებაზე, როგორიცაა ჰემოფილია:

**„ყველა ქვეყანას თავისი რეგულაცია აქვს და ამ რეგულაციით ხდება თანამშრომლობა ქართულ და უცხოურ კლინიკებს შორის. ისრაელის მთავრობას აქვს მოთხოვნა, რომ ის კლინიკები, რომლებსაც აქვთ უფლება, რომ განაყოფიერებული ემბრიონი ან კვერცხუჯრედი შეიტანონ ისრაელის ტერიტორიაზე, აუცილებლად უნდა იყვნენ აკრედიტებული ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. ქართულ კლინიკას, საიდანაც განაყოფიერებული ემბრიონები გაიტანეს, ეს აკრედიტაცია ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროსგან მიღებული აქვს.**

**ისრაელის სახელმწიფოს მოთხოვნაა, რომ დონორს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ოთხი კვლევა გენურ მუტაციაზე და ერთიც ქრომოსომული კვლევა. ამ კვლევებს შორის არ არის კვლევა ჰემოფილიაზე".**

ლიკა ჭყონიას თქმით, კვერცხუჯრედების ქართველ დონორებს ისრაელის კლინიკის ექიმები, პაციენტთან შეთანხმებით, თავად არჩევენ. შესაბამისად, ისრაელის ექიმებისთვის ცნობილია ყველა იმ აუცილებელი კვლევის შედეგები, რომელსაც დონორი იკეთებს:

**„გენურ მუტაციაზე კვლევები ტარდება ამერიკაში, ანუ ბიოლოგიური მასალები საქართველოდან იგზავნება ამერიკაში. როდესაც ისრაელის მხარემ აარჩია ეს კონკრეტული დონორი, მათ ყველა აუცილებელი კვლევის პასუხი იცოდნენ. აქედან გამომდინარე, სრულიად არარელევანტურია, რომ ახლა ვინმემ ისრები ქართულ მხარეზე გადმოიტანოს. ქართულ მხარეს არ დაუშვია არანაირი შეცდომა). პროტოკოლის თანახმად, კვლევები ტარდება ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა, ცისტოზური ფიბროზი, დუშენის კუნთოვანი დისტროფია, მყიფე X სინდრომი, სპინალური კუნთოვანი ატროფია და ასევე ხდება კარიოტიპირება.**

ისრაელში მიმდინარე გამოძიების შესახებ კომენტარს, ამ ეტაპზე, არ აკეთებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო.

### როგორ ირჩევენ კვერცხუჯრედების დონორებს?

**ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველო ერთგვარი ჰაბია უცხოელი პაციენტებისთვის – ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის განვითარებით და სერვისებით.**

ქართული კლინიკები, სააგენტოები კვერცხუჯრედის დონორებს ე.წ. სარეკლამო განცხადებებით ეძებენ. სარეკლამო ტექსტებში ის კრიტერიუმებია მითითებულია, რომელსაც დონორი უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად:

- **ასაკი 20-30 წელი;**
- **მისასალმებელია საკუთარი ჯანმრთელი შვილის ყოლა;**
- **მიმზიდველი გარეგნული მონაცემები;**
- **სრული ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა;**
- **ქრონიკული დაავადებების არარსებობა;**
- **ჭარბი წონის არარსებობა;**
- **გენეტიკური და მემკვიდრეობითი ხასიათის დაავადებების არარსებობა.**

ძნელია გახდე დონორი, რადგან „**აკვირდებიან ყველაფერს, ჯანმრთელობას, გარეგნობას"** – ეუბნება 22 წლის **სალომე*** რადიო თავისუფლებას.

**„ერთი წელი დავდიოდი სხვადასხვა კლინიკაში. გამიმართლა და ამირჩიეს გარეგნობით. წყვილები ძირითადად ისეთ დონორს ეძებენ, რომელიც მათ ჰგავს. ისინი ხედავენ შენს ფოტოს, მონაცემებს, დანარჩენი არაფერი საერთო მათთან არ გაქვს. არც იცი, ვინ არიან. ნოტარიუსთან ვიყავით, რომ უფლება მიეცათ მათთვის, რომ ჩემი ბიოლოგიური მასალა წაეღოთ სხვა ქვეყანაში, კონკრეტულად გერმანიაში. ამისთვის ჩემი თანხმობა იყო საჭირო).**

სალომემ უკვე ოთხჯერ ჩაიტარა კვერცხუჯრედის ამოღების პროცედურა.

**„პირველად 2000 ლარი გადამიხადეს. მეორედ მთხოვეს, რაც უფრო მალე მოხვალ, უფრო მეტს გადაგიხდითო. ბევრი ფოლეკულა მაქვს, ძალიან აწყობთ. ორ კლინიკასთან ვთანამშრომლობ".**

სალომე კვერცხუჯრედის დონაციისგან მიღებული თანხის ნაწილით სწავლის ფულს იხდის, ნაწილს კი საკუთარ ბიზნესს ახმარს. კვერცხუჯრედის დონორობა გადაწყვიტა რამდენიმე თვის წინ 26 წლის **მარიამმაც.** მისი თქმით, ე.წ. „ისრაელის პროგრამისთვის" ქართველი დონორები საკმაოდ სოლიდურ თანხას, 2000 დოლარს იღებენ:

**„მაგრამ ისინი უკვე კონკრეტულ ტიპაჟზე არიან ორიენტირებულები. ყაზახეთის პროგრამაშიც მეტია ანაზღაურება. ხელშეკრულებას აფორმებ და როცა მოხდება ჩემი მასალის ამოღება, ერთი დღის განმავლობაში უნდა ჩამერიცხოს ანაზღაურება. განაყოფიერდება თუ არ განაყოფიერდება, ეს უკვე ჩემი ვალდებულება აღარაა".**

**მარიამის** თქმით, **„მომზადების პროცესი 13 დღეს გრძელდება. მანამდე ყველა საჭირო გამოკვლევა გიტარდება, სისხლის, ნაცხის ანალიზის, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე ანალიზი. როცა ყველა პასუხი დადებითია, ამის შემდეგ იწყება მომზადება. იწყებ ინექციებს. დღეში 2 ინექცია კეთდება კანქვეშ, მუცელში. შემდეგ უკვე ტარდება კვერცხუჯრედის ამოღების პროცედურა. ანესთეზიით კეთდება და გრძელდება ნახევარი საათი".**

კვერცხუჯრედების ამოღებამდე მოსამზადებელ პერიოდს რადიო თავისუფლებასთან აღწერს **სალომეც:**

**„უნდა ეცადო, რომ სწორად იკვებო. ასევე უნდა გაიკეთო ინექციები. ოჯახის წევრებმა არ იციან, რომ დონორი ვარ, დედას ალბათ გული დასწყდება, რადგან ძალიან უნდა შვილიშვილი, მე კი შვილი საერთოდ არ მინდა. ინექციისთვის საჭირო ნემსებს მეგობართან ვინახავ. იქ მივდივარ და იქ ვიკეთებ ხოლმე".**

### დამხმარე რეპროდუქციული საშუალებებით სარგებლობის აკრძალვის შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენაზე აღარ გავიდა!..

**როგორია უცხოეთში საქართველოდან განაყოფიერებული ემბრიონების გატანის სტატისტიკა?**

რომელ ქვეყნებში გადის საქართველოდან ბიოლოგიური მასალა, მათ შორის, განაყოფიერებული ემბრიონები? ამ კითხვებზე ზუსტი პასუხი არ აქვს **ლიკა ჭყონიას**. თუმცა, ამბობს, რომ როდესაც საქმე დამხმარე რეპროდუქციულ საშუალებებს ეხება, უცხოელი წყვილები, ამ პროცედურას უმეტესად საქართველოშივე იტარებენ და საქართველოდან ბიოლოგიური მასალის გატანის მაჩვენებელი არ არის დიდი. 2023 წლის ზაფხულში, როდესაც მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში ინ ვიტრო განაყოფიერების, სუროგაციისა და დონაციის სერვისის მიღების აკრძალვა დააპირა, რეპროდუქტოლოგებმა პრემიერის ეს ინიციატივა გააკრიტიკეს და თქვეს, რომ ეს ინიციატივა ერთი მხრივ დისკრიმინაციული იყო, მეორე მხრივ, კი წამგებიანი საქართველოს ეკონომიკისთვის:

**„აქ პაციენტები ჩამოდიან არა იმიტომ, რომ ამ დარგის მომსახურება სხვა ქვეყნებთან შედარებით იაფია. არა, აქ ჩამოდიან იმიტომ, რომ საუკეთესო სერვისს იღებენ. გარდა ამისა, საქართველოში სამედიცინო ტურიზმი ზოგადად ტურიზმის 55%-ს მოიცავს. ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური შემოსავალი მნიშვნელოვანწილად სწორედ ტურიზმს ეფუძნება. ამ აკრძალვით არა მხოლოდ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის დარგი შეაჩერებს განვითარებას და შესაძლოა, არსებობასაც, არამედ ეს სერიოზული დანაკარგი იქნება ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც. აქ ჩამოსული პაციენტები, ცხადია, სარგებლობენ სხვადასხვა მომსახურებით, იქნება ეს სასტუმროები თუ საკვები, გასართობი ობიექტები.**



ნინო მუსერიძე

**2022 წელს საქართველოს ბიუჯეტმა დაახლოებით 60 მილიონი დოლარი მიიღო სამედიცინო ტურიზმის დახმარებით და რატომ ვამბობთ უარს იმაზე, რომ საქართველო არ იყოს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ჰაბი? მსოფლიოში შობადობა არ შემცირდება, ადამიანს ყოველთვის ექნება სურვილი, ჰყავდეს შვილი და რატომ ვაიძულებთ მათ წავიდნენ სხვა ქვეყანაში და ამით სარგებელი დაკარგოს ჩვენმა ქვეყანამ?",** – თქვა მაშინ **ნინო მუსერიძემ,** ქართულ-გერმანული კლინიკის ხელმძღვანელმა და ემბრიოლოგმა.

საქართველოში მოქმედი სუროგაციისა და დონაციის სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციით, მათი მომსახურებით უმეტესად, უცხოელი წყვილები სარგებლობენ. ეს მონაცემი შესაძლოა 98%-საც აღწევდეს.

**მთავრობის მიერ წარდგენილი ცვლილებები 2024 წლის პირველი იანვრიდან უნდა შესულიყო ძალაში, თუმცა, პარლამენტში ორი განხილვის შემდეგ, კანონპროექტი მესამე მოსმენაზე აღარ გასულა. როგორც პარლამენტში ეუბნებიან რადიო თავისუფლებას, ამ კანონპროექტთან დაკავშირებით „სიახლე არ არის").**

**ნინო თარხნიშვილი**

რადიო თავისუფლების ჟურნალისტი

* რესპონდენტების სახელები შეცვლილია მათი ანონიმურობის დაცვის მიზნით.

### ცინცხალი ინფორმაცია თემაში

**საქართველოს პროკურატურის და ისრაელის სამართალდამცავთა ერთობლივი მონაწილეობით, ისრაელის სახელმწიფოდან შემოსული სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე, ტრანსნაციონალური დანაშაულის ფარგლებში, ქალაქ ბათუმში მდებარე ხელოვნური განაყოფიერების, დონაციის და სუროგაციის ცენტრ იშკერში (სამედიცინო კლინიკა) საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ჩატარდა.**

**პროკურატურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა სამედიცინო კლინიკიდან დოკუმენტაცია და ელექტრონული ინფორმაცია ამოიღეს.**

**ამ ეტაპზე, საერთაშორისო გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები გრძელდება, მათ შორის დაგეგმილია საქართველოს და ისრაელის მოქალაქეების მოწმის სახით გამოკითხვა.**

## ყველაზე დიდი და არასაიმედო ბაზარი ისევ იცვლება...

(მეოთხე გვერდიდან)



# რუსეთისთვის ჩამოსხმული ქართული ღვინის პერსპექტივა

### საღ და რამდენ ღვინოს ყიდის საქართველო?!

**2023 წელს საქართველომ ჯამში 259 მლნ დოლარის ღვინო გაყიდა, თითქმის 3%-ით მეტი წინა წელთან შედარებით. გაზრდილ შემოსავლებს ღვინის ეროვნული სააგენტო საზღვარგარეთ გაძვირებული ქართული ღვინით ხსნის. თუ 2022 წელს ერთი ლიტრი ქართული ღვინო საშუალოდ 2.48 დოლარად იყიდებოდა, 2023 წელს ფასი 2.89 დოლარამდე გაიზარდა.**

„ასკანელი“ რუსეთში ღვინოს საშუალოდ 2 დოლარად და 80 ცენტად ყიდის.

**„დამიჯერეთ, ეს დაბალი არ არის. თან ჩვენ აქ ადგილზე ვყიდით. ქარხნის ფასია, ტრანსპორტირება და იქ დაბეგვრის რეჟიმები მათზეა. ქართული კომპანიების უმრავლესობა ამ სქემით მუშაობს. დახლზე უკვე გაცილებით ძვირია, 5-6 დოლარის ზემოთ. ძვირ ღვინოსაც ვტვირთავთ, რომლის ფასიც 10 დოლარამდეც ადის, მაგრამ უფრო მეტად დაბალფასიანი პროდუქტები იყიდება“,** – ამბობს **ირაკლი უზლავა.**

მრავალი წელია მთავრობა აცხადებს, რომ ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებაზე მუშაობს, რაც ნიშნავს რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების შემცირებას და ევროპის, აშშ-ის, ჩინეთის ბაზარზე გაყიდვების ზრდის. მაგრამ, შარშანდელი მონაცემებით, ქართული ღვინის მხოლოდ 12% გაიყიდა ევროკავშირში. რუსეთის ბაზარზე 65%-იანი დამოკიდებულება რომ ღვინის ინდუსტრიისთვის საფრთხეა, ამას 2006-2012 წლების გამოცდილებაც ადასტურებს. სანიტარიული ნორმების მიზეზით მიღებული გადაწყვეტილების უკან საქართველოში რუსი ჯაშუშების დაკავება იდგა. ამის გამო რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტი აიკრძალა და ემბარგო 7 წლის განმავლობაში გაგრძელდა. ემბარგო ღვინის ექსპორტზე მალევე აისახა და შემოსავალი 41 მლნ დოლარიდან 29 მლნ დოლარამდე შემცირდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ლევან მეხუზლა რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ წელს ბიუჯეტიდან ქართული ღვინის პოპულარიზაციაზე 16 მლნ ლარი დაიხარჯება.

**„ღვინის ეროვნული სააგენტო ერთ თეთრს არ ხარჯავს ჩვენი ტრადიციული ბაზრების მიმართულებით. ყველა რესურსი გვაქვს მიმართული იმისკენ, რომ ბაზრების დივერსიფიცირება მოხდეს და ყველა ქმედება მიმართულია ჩვენთვის სტრატეგიული ბაზრებისკენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, ჩინეთი, იაპონია და სამხრეთი კორეა. გაცხადებული გვქონდა და გვინდოდა, რომ 2030 წლისთვის ერთი კონკრეტული ბაზრის (რუსეთი) წილი 40%-ს ჩამოცილებულიყო, თუმცა, სამწუხაროდ, მას მერე იყო კოვიდპანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი, ეს ჩვენი შესაძლებლობების მიღმაა. ვიმედოვნებ, რომ მას შემდეგ, რაც ეს ობიექტური მიზეზები მოიხსნება, კვლავ გვექნება საშუალება შევამციროთ ამ კონკრეტული ბაზრის წილი ღვინის ექსპორტში“,** – ამბობს **მეხუზლა.**

სპეციალისტები ამბობენ, რომ გაძვირებული აქციზი რუსეთში ყველაზე მეტად იაფი, უხარისხო ღვინის წარმოებას დაარტყამს. ერთი მხრივ, ეს ცვლილება გასაღებას შეაფერხებს, თუმცა, მეორე მხრივ, იაფფასიან ღვინოზე შემცირებული მოთხოვნა შესაძლოა სტიმული გახდეს ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

**მარიამ ვარადაშვილი**

---

# პურის ფასი

## გაძვირდება თუ არა პურპროდუქტები საქართველოში?



**ბოლო დროს ისმის სამწუხარო ინფორმაციები იმის შესახებ, თუ რა პრობლემების წინაშე დგანან ქართველი ფერმერები, კერძოდ ხორბლის მწარმოებლები, რომლებიც სუბსიდიების მომატებას ითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან და აანონსებენ, რომ კილოგრამ ხორბალზე 70-80 თეთრის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოუხვნელი დარჩება სავარგულები და უაზრობა იქნება ხორბლის წარმოება, რადგან ისინი ამ მხრივ მოგებას ვერ ნახულობენ.**

**ამას ემატება ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დაუსაბუთებელი ბრალდებები იმის გამო, რომ ჩვენთან პროდუქტები ბევრად ძვირი ღირს, ვიდრე ევროპის ქვეყნებში და ჩვენს სამეზობლო სახელმწიფოებში. საკითხის გარკვევისთვის რამდენიმე კითხვით მივმართეთ საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ მალხაზ ღოლიძეს, რომელმაც, როგორც დარგის პროფესიონალმა, ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა და შეძლებისდაგვარად გაგვარკვია იმ პრობლემებში და რეალურ ვითარებაში, რომელიც პურპროდუქტების სფეროში გვაქვს.**

**– ბატონო მალხაზ, ევროპაში გაჩაღებულ „ხორბლის ამბოხებას“, ანუ ევროპელ ფერმერთა აღშფოთებას, რომელიც უკრაინიდან შეტანილმა დაუბეგრავმა ხორბალმა გამოიწვია, უკმაყოფილებისა და საპროტესტო აქციების გარდა ფასების ზრდაც განაპირობა. იქონია თუ არა ამან გავლენა ჩვენს ქვეყანაზე?**

– უკრაინის დაუბეგრავმა ხორბალმა მართლაც პროტესტის ისეთი სახე მიიღო ევროპის ქვეყნებში, რომ ადგილობრივ ფერმერთა ქმედება, ჩაკეტილი საზღვრებისა და გადაკეტილი გზების გარდა, უკრაინული ხორბლის განადგურებაშიც გადაიზარდა. ფერმერები ათასობით უკრაინულ ტრალერებს, რომლებიც ხორბლითაა დატვირთული, არამარტო გზას უკეტავენ, არამედ არის შემთხვევებიც, რომ ძალისმიერი მეთოდებით პირდაპირ ავტომაგისტრალებზე ცლიან. ჩვენი ქვეყანა ჩართულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ქართველი ფერმერების მიერ მოყვანილი მოსავალი სულ რამდენიმე თვე თუ ყოფნის ქვეყნის მარაგს, პურპროდუქტების წარმოებას, ამისთვის ხორბლის დიდი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს, კერძოდ რუსეთიდან. გასაკვირი აქ არაფერია, რადგან ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს თავისი სასურსათო სუვერენიტეტიც დაიცვას და მოსახლეობის მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს.

**– სასურსათო სუვერენიტეტი გასაგებია, მაგრამ ჩვენი ხორბალი საჭირო მარაგის მეოთხედსაც ვერ გასწვდება, არადა ჩვენი ფერმერები ჩასაბარებელი ხორბლის ფასის გაზრდას ითხოვენ და „იმუქრებიან“, რომ მოუხნავი დარჩება სავარგულები, თუ მთავრობა მომატებული ფასით არ ჩაიბარებს მოყვანილ ხორბალს...**

– საქართველოში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები იმ მხრივ, რომ აქცენტი გაკეთებულიყო ადგილობრივ ხორბლის წარმოებაზე, გლეხსა და ფერმერს ადგილობრივი მოსავალი ჩაებარებინა, ემუშავა ქართულ წისქვილებსა და ცხობის სექტორში ადგილობრივი ფქვილით გამომცხვარიყო პური. ამისათვის საბაჟოზე შემოსული რუსული ფქვილისთვის შემოღებული იქნა დროებითი გადასახადი, რომელიც ტომარაზე 10 ლარით განისაზღვრა, შემდეგ ამას 2 ლარი და 50 თეთრი დაემატა. ქართველმა ფერმერებმა ერთ კილოგრამ ხორბალზე 50 თეთრის ნაცვლად 70-80 თეთრი მოითხოვეს. მინდა ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, რომ 50 თეთრი ეს ის ნიშნულია, რომელზეც დაბლა კილოგრამი ხორბლის შეძენა შეუძლებელია. მხედველობაში არ იღებენ იმ სხვადასხვა ფაქტორებს, რომელიც პროდუქციის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო. ესაა – ელექტროენერგია, გაზი, წყალი, რომელიც აუცილებელია პურის გამოცხობისთვის. მართალია, ელექტროენერგიის გადასახადმა მწარმოებლებისთვის რამდენიმე თეთრით დაიკლო, მაგრამ მოიმატა წყლისა და გაზის ტარიფმა, საწარმოებისთვის ის თითქმის გაორმაგდა, ვიდრე მოსახლეობისთვისაა დადგენილი. ამას ემატება მუშა-მოსამსახურეთა და დისტრიბუტორთა თანხები, შეფუთვა და ეტიკეტი, საფუარი. ახლა თქვენ იანგარიშეთ რამდენი დაჯდება ერთი პურის ფასი, მაგრამ გაჭირვებით მაინც ფასი, თითქმის იგივე დავტოვეთ. სწორედ თქვენს გაზეთში დაიბეჭდა რამდენიმე დღის წინ წერილი სათაურით „პური არ გაძვირდება“... კარგი იქნება ჟურნალისტებმაც და საქმეში ჩაუხედავმა პოლიტიკოსებმა პროფესიონალებისგან შეიტყონ სიმართლე და არა პოპულისტებისგან და დილეტანტებისგან.

რუსეთიდან შემოტანილი ხორბალი ხარისხიანი და იაფია, მართალია აქაც ადგილი აქვს „მოთამაშე“, ანუ „მცურავ“ ფასებს, მაგრამ მაინც ხერხდება მოსახლეობის პურით უზრუნველყოფა.

**– ჩვენი ქართული ხორბალი, რომელშიც ფერმერები 70-80 თეთრს ითხოვენ, ხარისხით ჩამოუვარდება თუ აღემატება შემოტანილ ხორბალს?**

– მოდით, გულახდილები ვიყოთ, პურის მწარმოებელს მაღალი ხარისხის ხორბალი და ფქვილი სჭირდება, რომელსაც ჩვენი ხორბალი ჯერჯერობით ვერ პასუხობს. კონკურენტუნარიანი და ხარისხიანი პური, რომ ვაწარმოოთ, ამას მაღალი წებოვანი ფქვილი ესაჭიროება. რუსული ხორბალი ჯდება ამ სტანდარტებში. პრობლემად ის შეიქმნა, რომ ტომარა, რომელიც 50-52 ლარი ჯდებოდა, ახლა 2,50 ლარის დამატების შემდეგ გაძვირდა და ჩვენს მიერ 50-52 ლარზე ნაანგარიშები კალკულაცია შეიცვალა. სწორედ ამიტომ, ვინც პურის ფასზე იწყებს საუბარს, ეს რეალობაც უნდა გაითვალისწინოს.

**– ბატონო მალხაზ, ბოლო დროს დაიწყეს საუბარი ქართულ ბაზარზე პროდუქციის დიდი ფასებზე სხვა ქვეყნებთან შედარებით. როგორი ვითარებაა პურპროდუქტების ფასების მხრივ საქართველოში და სხვა ქვეყნებში...**

– მეზობელ ქვეყნებში, სადაც ენერგომატერებლებზე ფასები ჩვენთან შედარებით ბევრად ნაკლებია, პურის ფასი თითქმის ჩვენთან არსებული ფასის თანაბარია. ბოლო ინფორმაციით ყველაზე დაბალი ფასი (პური გვაქვს მხედველობაში) ტაჯიკეთში იყო და იქაც ბოლო ერთი თვის მანძილზე ფასი სამჯერ შეიცვალა ზრდისკენ და ახლა ჩვენს ფასს გაუთანასწორდა. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, სადაც თითქმის ორჯერ გაძვირდა ენერგომატარებლების ფასი – ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, შესაბამისად მოიმატა პურპროდუქტების ფასმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ელევატორებში საკმაო მარაგი აქვთ ჩვენთან შედარებით. როგორი სავალალო მდგომარეობაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ამას თავად ვუყურებთ და ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ. მხედველობაში მისაღებია ის ფაქტორიც, რომ საქართველოში ბევრად მეტ პურს მოიხმარენ, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ქართველები დღესაც პურის მჭამელი ხალხი ვართ...

**ესეც გასათვალისწინებელია.**

**ასე რომ, ზოგიერთ პოპულისტთა და პოლიტიკოსთა ბრალდებები, მათდა სამწუხაროდ, რეალობასაა მოკლებული.**

ესაუბრა
**ავთანდილ ბექაური**



# არშემდგარი სახელმწიფო, რომელსაც ბანდები მართავენ



**ჰაიტი, უკვე, მერამდენეჯერ დგას სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო გადატრიალების წინაშე! ეს პატარა სახელმწიფო კარიბის ზღვის კუნძულ ისპანიოლაზე მდებარეობს, რომელსაც დომინიკის რესპუბლიკასთან იყოფს.**

ჰაიტის მოსახლეობა 11 მილიონზე მეტია და დღესდღეობით, ყველაზე ღარიბი ქვეყანაა ამერიკის კონტინენტზე. ერთდროს, მისი ისტორია კარგად დაიწყო. ადრე, საფრანგეთის კოლონია იყო, რომელმაც, 1804 წელს, დამოუკიდებლობა მოიპოვა. ჰაიტი პირველი შავკანიანთა რესპუბლიკა იყო და ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მონათა წარმატებული ამბოხის შედეგად ჩამოყალიბდა.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ქვეყანა კარგად ვითარდებოდა, მაგრამ, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, მას ბედი არ წყალობს. ჯერ იყო და, 1915-34 წლებში ამერიკას ჰყავდა ოკუპირებული. შემდეგ, ფრანსუა დიუვალიეს მეთაურობით, დიქტატურა დამყარდა, რომელიც 1957-დან 1986 წლამდე გაგრძელდა. დიუვალიეს რეჟიმის დაცემის შემდეგ, დემოკრატია დამყარდა, თუმცა ძალიან მყიფე. დემოკრატიის გასამყარებლად, ამერიკას უწევდა ხოლმე, ჰაიტის შიდა საქმეებში ჩარევა.

ქვეყანას, ათწლეულების მანძილზე, არ ჰყავდა მუდმივი არმია და ჯეროვნად დაფინანსებული ძლიერი ეროვნული პოლიცია. გაეროსა და დასავლეთის ჩარევამ გამართული პოლიტიკური ინსტიტუტების ტრადიციის დამკვიდრება ვერ შესძლო ქვეყანაში. ძალაუფლების შესანარჩუნებლად და ქვეყნის სამართავად, ჰაიტის ლიდერები შეიარაღებულ სამოქალაქო პირებს იყენებდნენ. ქვეყანაში გაჩნდა კერძო სამხედრო დანაყოფები, რომელიც, ხან ერთმანეთს და ხან მთავრობას უპირისპირდებოდა. ზოგიერთი კი, კრიმინალის გზას დაადგა. სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტემ და დანაშაულის ზრდამ, ფაქტობრივად, გააპარტახა ქვეყანა.

2010 წელს, ჰაიტიში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც 210-ათასი ადამიანი იმსხვერპლა და კუნძული მთლიანად გაანადგურა. ბუნებრივმა კატასტროფამ კიდევ უფრო გააღარიბა ქვეყანა. მოსახლეობის უმრავლესობა, კრიმინალურ გზას დაადგა. ქვეყანას, ფაქტობრივად, ბანდები მართავდა. 2021 წელს, ერთ-ერთმა ბანდამ პრეზიდენტის რეზიდენციაზე მიიტანა შეტევა და ქვეყნის პრეზიდენტი მოჰკლა. მმართველობა პრემიერ-მინისტრ არიელ ანრის გადაეცა, რომელიც მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ახალ არჩევნებს ჩაატარებდა, თუმცა, მიზეზთა გამო, არჩევნები დღემდე არ ჩატარებულა.

2 მარტს, ჰაიტიში, ერთგვარი კრიმინალური რევოლუცია მოხდა. შეირაღებულმა ბანდებმა ჰაიტის ყველაზე დიდ ციხეზე მიიტანეს შეტევა და ოთხი-ათასამდე მსჯავრდებული დამნაშავე გაათავისუფლეს. იმ დროს, ქვეყნის მეთაური ქვეყანაში არ იმყოფებოდა. ბანდებმა ჰაიტის დედაქალაქი დაიკავეს და, ახლა, ნახევარ სახელმწიფოს აკონტროლებენ. დედაქალაქში და სხვა დასახლებულ პუნქტებში ქაოსია. ქუჩებში უპატრონო გვამები ყრია. 15-ათასამდე ჰაიტელი დომინიკის რესპუბლიკას შეეხიზნა. ბანდების მთავარი მოთხოვნა ქვეყნის მეთაურის გადადგომა იყო, რომელმაც თავის ქვეყანაში ჩასვლა ვერ მოახერხა. 12-მარტს, საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ, მან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო. ჰაიტის არასტაბილურობა კარიბის ზღვის რეგიონის ყველა ქვეყნისთვის პრობლემად იქცა. ეს, ამერიკისთვისაც პრობლემაა. ყველას აშინებს ფიქრი იმაზე, რომ 11-მილიონიან ქვეყანას შეიარაღებული ბანდები მართავს. შექმნილმა მდგომარეობამ, შესაძლოა, ჰუმანიტარული კატასტროფა გამოიწვიოს, და ამერიკას ემიგრანტების ახალი დიდი ნაკადი მიაწყდეს. ასევე, საშიშია, რომ ჰაიტი, შეიძლება, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ნარკომაფიის დიდ ბაზად იქცეს.

ბაიდენი, ამ ეტაპზე, უარს ამბობს ჰაიტიში სამხედრო ან პოლიციური ძალების გაგზავნაზე. გაეროს, კენიელი სამშვიდობო ძალების გაგზავნა სურს. ჰაიტისთვის ფინანსური დახმარების გასაწევად, ამერიკამ და კარიბის რეგიონის ქვეყნებმა საგანგებო ფონდი შექმნეს, მაგრამ, ჯერ კიდევ, ბევრი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი, მაგალითად, დათანხმდება თუ არა ბანდები ქვეყნის ნორმალურ რიტმში დაუბრუნებას, ან, სამომავლოდ, ვინ აიღებს პოლიტიკურ პასუხისგებლობას.



# კონსერვატიზმი, რომელიც ტრადიციებსა და რელიგიაზეა დამოკიდებული...

**ირლანდიის პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა, მთავრობის მიერ ინიცირებულ რეფერენდუმში, იმის მიუხედავად, რომ მთავრობას მხარს ოპოზიციური პარტიებიც უჭერს, მარცხი განიცადა. რატომ არ დაეთანხმა ირლანდიელი ხალხის უმრავლესობა თავის პოლიტიკურ ელიტას? ირლანდიაში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო კონსერვატული საზოგადოებაა. მათი კონსერვატიზმი არა პოლიტიკაში, არამედ, ეროვნულ ტრადიციებსა და რელიგიაში მჟღავნდება.**

ირლანდიური საზოგადოება კათოლიკური რწმენისაა, თუმცა, სხვა ევროპულ ქვეყნებს პროგრესივიზმში არ ჩამორჩება. ირლანდიის მთავრობას ფართომასშტაბიანი კამპანიის ჩატარება მოუხდა, რომ 2018-წლის რეფერენდუმზე, ირლანდიის მოსახლეობას აბორტების ლეგალიზაციისთვის მხარი დაეჭირა. ირლანდიის კონსტიტუციაში, დღემდე, ოჯახის 1937-წლისდროინდელი განსაზღვრება ფიგურირებს. მთავრობას, რეფერენდუმით, ოჯახის კონსტიტუციური დეფენიციის მოდერნიზება-გაფართოება უნდოდა, რომლის მიხედვით, ოჯახი ცოლქმრულ კავშირზე დაფუძნებულ ცნებად კი არა, ისეთ კავშირად ჩაითვლება, რომელიც, უბრალოდ, მყარ, მათ შორის, ერთსქესიან წყვილთა ურთიერთკავშირზე იქნება დაფუძნებული.

მეორე პუნქტი, რომლის ახალი რეადაქციის მიღებას მთავრობა რეფერენდუმის გზით ითხოვდა, ეხებოდა ქალის როლს საზოგადოებაში, სახელდობრ, კონსტიტუციიდან, ოჯახში ქალის როლსა და მოვალეობებზე არსებული მითითების ამოღებას, და მის ახალი მუხლით ჩანაცვლებას, რომ ზრუნვა მიიჩნევა არა მხოლოდ დედის, არამედ, მთელი ოჯახის პასუხისმგებლობად. მთავრობამ რეფერენდუმის ჩატარების რიცხვი ქალთა დღეს დაამთხვია იმ იმედით, რომ ირლანდიის ქალების უმრავლესობა დადებითად შეხვდებოდა ამ ცვლილებებს, მაგრამ ვისთვის საიმედოდ და ვისთვის სამწუხაროდ, ირლანდიის მოსახლეობის, თითქმის, 70-მა პროცენტმა უარყო მთავრობის შეთავაზება, ანუ, ირლანდიის საზოგადოებამ მოითხოვა, ოჯახისა და ქალის როლის დეფინიცია კონსტიტუციაში უცვლელი დარჩეს. ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა აღიარა წაგება და განაცხადა: სამწუხაროდ, ირლანდიელი ხალხის უმრავლესობა ვერ დავარწმუნეთ და წავაგეთო.

ირლანდიის მასმედიის აზრით, წაგების მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობისთვის ეს ცვლილებები ნაჩქარევი აღმოჩნდა. მთავრობას მეტი ახსნა-განმარტება უნდა გაეკეთებინა და საზოგადოებისთვის ცოტა მაინც ეცლია, კარგად აღექვა ცვლილება. ჩატარებული სოციალური კვლევის მიხედვით, რეფერენდუმზე მთავრობის იმედგაცრუების მიზეზად დასახელდა ის, რომ ქალების, თითქმის, 70 პროცენტი, ვისაც 18 წლამდე შვილი ჰყავს, სახლში საქმიანობს. ამიტომ, მთავრობის მიერ შეთავაზებული ცვლილებები მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.



**ნუგზარ (ბ) რუხაძე**
POSTV

# იტალიის პრემიერი მაკრონის წინადადების წინააღმდეგია



**„ჩვენი პოზიცია არ ემხრობა საფრანგეთის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, რომელიც სახიფათო ესკალაციის საწინდარია. ეს ყველანაირ ფასად უნდა ავიცილოთ თავიდან“**, – განაცხადა იტალიის პრემიერ-მინისტრმა **ჯორჯია მელონმა**.

მელონიმ გააკრიტიკა საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, რომელიც ზეწოლას ახორციელებს გერმანიის კანცლერზე, ოლაფ შოლცზე უფრო გადამწყვეტი პოზიციის დასაკავებლად და გააფრთხილა „ეგზისტენციალური“ საფრთხის შესახებ, რომელსაც რუსეთი უქმნის ევროკავშირს. ამასთან, იტალიის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკება უსარგებლოა. ცნობისთვის, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ „დასავლური ჯარების შესაძლო გაგზავნა უკრაინაში არ არის გამორიცხული“.

# ...თუ არ იქნება აშშ, ნატო, ფაქტობრივად, ვერც კი იარსებებს

**აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ „100 პროცენტით“ დარჩება ნატოში მისი ხელმძღვანელობით, ვიდრე ევროპული ქვეყნები „სამართლიანად ითამაშებენ“.**

ბრიტანული ტელეარხისთვის, GB News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ტრამპმა აღნიშნა, რომ ადასტურებს თავის ერთგულებას ტრანსატლანტიკური ალიანსის მიმართ, მაგრამ გააფრთხილა ევროპული ქვეყნები, „ბოროტად არ ისარგებლონ“ აშშ-ის მხარდაჭერით.



**„ნატო სამართლიანად უნდა მოექცეს აშშ-ს, რადგან თუ არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ფაქტობრივად, ვერც კი იარსებებს“**, – აღნიშნა ტრამპმა.

კითხვაზე, მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში, აშშ დაეხმარება თუ არა თავდასხმის ქვეშ მყოფ ქვეყნებს, ტრამპმა უპასუხა, რომ ეს ასე იქნება. **„დიახ, მაგრამ თქვენ იცით, აშშ-მა უნდა გადაიხადოს თავისი სამართლიანი წილი და არა ყველას სამართლიანი წილი“**, – უპასუხა ტრამპმა.

# გაყინულ რუსულ აქტივებს უკრაინის შეიარაღებისთვის გამოიყენებენ?

**საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ჯოზეფ ბორელის განცხადებით, ევროკავშირის ქვეყნებს შესთავაზებს, გაყინული რუსული აქტივებიდან მიღებული შემოსავლების 90 პროცენტი, ევროპის სამშვიდობო ფონდის მეშვეობით, უკრაინისთვის იარაღის შესაძენად გამოიყენონ.**

ბორელის თქმით, დარჩენილ 10 პროცენტს ევროკავშირის ბიუჯეტში გადარიცხავენ და უკრაინის თავდაცვის ინდუსტრიის გასაძლიერებლად იქნება გამოყენებული. როგორც ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ხელმძღვანელი ამბობს, ამის შესახებ წევრ ქვეყნებს დღეს აცნობებს.

# უკრაინა ყურადღებით აკვირდება მათ, ვინც ვლადიმერ პუტინს ე.წ. გამარჯვებას ულოცავს

**„ჩვენ ახლა ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით, ვინ მიესალმება „პრეზიდენტ“ პუტინის ე.წ. გამარჯვებას. საკმაოდ საინტერესო სიაა. არსებობს გაგება, ვინ რა ინტერესებით ხელმძღვანელობს ამ დროს და ვის რა ინტერესები აქვს იმაში, რომ მიესალმოს ამ თანამედროვე ჰიტლერის თითქოსდა ხელახლა არჩევას“**, – განაცხადა უკრაინის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა **ალექსეი დანილოვმა**.



როგორც დანილოვმა აღნიშნა, ბევრ ქვეყანას ავიწყდება, რომ **„ისტორია ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს“**.

# გვარების წინამძღოლთა დარბაზი

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წესდების მიხედვით, დალოცვილი გვარის წინამძღოლი ვალდებული დაესწროს შეკრებებს და დარბაზის ანგარიშზე შეიტანოს საწევრო გადასახადი





ინფორმაციის წყარო...

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი.

ტელევიზია: ქართული TV
ყოველ საშაბათს 22-საათზე
გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა".
(ჟურნალისტი ვალერიან ლომიძე)

თბილისი;ელიას მთა, სამების საკათედრო ტაძარი

ტელ: 514 090 944; 597 762 272;
577 571 257



სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი

ს.ს. თიბისი ბანკი
საბანკო კოდი: TBCBGE 22
მიმღები;ს.ს.გ.წ.დარბაზი
ანგარიში: GE83TB7957436080100006

მის:საქართველო თბილისი:
თბილისი ელიას მთა
სამების საკათედრო ტაძარი
ტელ: 514 090 944; 597 762 272;
577 571 257

## ინფორმაციისთვის !!!

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე:არაკლი ბრეგვაძე;
-სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თანა-თავმჯდომარე;ჯემალ ადამაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი; შოთა ზედგინიძე
პასუხისმგებელი მდივანი:ნინო ბერძენიშვილი
სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის მოადგილეები:1.გოგიტა მელიქიძე
2.ვახტანგ აბულძე
3.ზაზა ქარცივაძე
სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის მრჩევლები: 1.დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე
2.თენგიზ მაისურაძე
3.ვაჟა ბერიძე
4.თუზა ტყემალაძე
5.რეზო ბარამიძე
6.დავით თხოვრიშვილი

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზს ჰყავს უხუცესთა საბჭო

## სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის მიზნები

-მართლმადიდებლური რწმენის გაძლიერება-ქართულ გვარებს შორის.
-საგვარეულო და ქართული ტაძრების,ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია.
-ეროვნულ პატრიოტული,ტრადიციული სულისკვეთების გაღვივება.
-სახელოვანი პიროვნებების წარმოჩენა.
-დალოცვილ გვარში უხუცესთა დარბაზის შექმნა.
-გვარებს შორის მუსიკალური სპორტული და სხვა ღონისძიებების ჩატარება
-გვარების ისტორიული სიღრმისეული კვლევა.
-სოციალური პროექტების განხორციელება.
-ჟურნალ გაზეთების გამოშვება.
-გვარების წინამძღოლებს,გვარიშვილებს,გაუწიოს იურიდიული, სამედიცინო,სოციალური და სხვა საკითხებზე კონსულტაცია.
-დაეხმაროს გვარს დალოცვისთვის.
-დაეხმაროს გვარს იურიდიული კავშირის შექმნაში.
-დაეხმაროს გვარს საგვარეულო ნიშნის შექმნაში.
-დაეხმაროს გვარის წარჩინებულ ახალგაზრდებს პროფესიის მიღებაში და დასაქმებაში.
-მიტოვებული სოფლავების გაწმენდაში და დასუფთავებაში.
-დალოცვილი გვარის თაობარების შეკრებების უზრუნველყოფა.
-და სხვა ეროვნული საკითხები.

- სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზში მუშაობს გვარების მკვლევართა ჯგუფი .შემდეგ საკითხებზე:
1.საგვარეულო ნიშანი
2.საგვარეულო ხე
3.გვარების ისტორიის ღრმა კვლევა,ასევე გვარების ისტორიის მცირე კვლევა.
4.საგვარეულო სიგელების შექმნა.

-სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზში მუშაობს გვარების მკვლევართა ჯგუფი.
ჯგუფს ხელმძღვანელობენ: ლევან ბერაია და ვალერიან ხომშიაშვილი.

დარბაზს ჰყავს ხატმწერი: გიორგი ზაქაიძე

დარბაზს აქვს ჰიმნი, რომლის ავტორია დარბაზის თავმჯდომარის მოადგილე, კომპოზიტორი ბატონი ჯემალ ადამაშვილი.

ს.ს. თიბისი ბანკი
საბანკო კოდი:TBCBE22
მიმღები: ს.ს.გ.წ.დარბაზი
ანგარიში: GE83TB7957436080100006

# ყველა გზა დიდუბეში მიდის!

**როგორც იქნა, გათენდა 21 მარტი – დღე, როცა საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ბოლოსწინა ნაბიჯი უნდა გადადგას ისტორიაში პირველი ევრო – 2024-სკენ და ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე ლუქსემბურგის გუნდი – გამოცანა დაამარცხოს, ეს კი ავტომატურად გაგვიხსნის გზას აქვე 26 მარტის ფინალისკენ, სადაც საბერძნეთ – ყაზახეთის წყვილში გამარჯვებულთან გადამწყვეტ ბრძოლაში უნდა მოვიპოვოთ გერმანიის სტადიონებზე დამდეგ ზაფხულში თამაშის უფლება.**

ეს სათქმელადაა ადვილი, თორემ ჟამთა სვლა ისეთია, კაცმა არ იცის, აღნიშნულ მეტოქესთან ვართ კი საერთოდ ფავორიტები? მართლაც რომ, დრონი მეფობენ და არა მეფენი, რადგან თამაში, მეტ-ნაკლებად, ყველამ ისწავლა, ხოლო ზოგს, ჩვენს მსგავსად, ტკბილად ნაგემი წარსულისგან განსხვავებით, შედარებით დაავიწყდა ან ერთ ადგილს ტკეპნის.

ყოფნა-არყოფნა...




მოჭარბებულ პესიმიზმში რომ არავინ დაგვდოს ბრალი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ: თუ ჯვაროსნებს გუნდის უდავო ლიდერი ხვიჩა კვარაცხელია აბსურდული მიზეზით აკლიათ, სტუმრებს ერთბაშად 3 წამყვანი ლეგიონერი ვერ დაეხმარებათ. აღსანიშნავია, რომ საყრდენი ნახევარმცველის საკვანძო პოზიციაზე ასიანთა კლუბის წევრი ჯაბა კანკავა დაგვიბრუნდა, რამაც იდეაში ვილი სანიოლის შეგირდებს რგოლებს შორის კავშირი უნდა აღუდგინოს. დავძენთ, რომ შეხვედრას ესპანელთა ბრიგადა იმსაჯებს, მთავარი არბიტრი ლოპესი კი საფეხბურთო სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და რამდენიმე დღის წინათ ატლეტიკო – ბარსელონას დუელს უძღვებოდა.

**ჰა ბურთი და ჰა მოედანი, ბიჭებო!**

ჩემპიონი

## კეთილი ნების ელჩის სტატუსით



**UFC-ის ჩემპიონი ილია თოფურია გუშინ „ბერი ანდრიას ფონდს“ ესტუმრა და ფონდის შვილობილებს მოინახულა.**

ჩემპიონი ფონდის კეთილი ნების ელჩია და მან გამარჯვებისთვის მიღებული თანხით ერთ-ერთი შვილობილის ოპერაცია დააფინანსა.

**„MMA-ის ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციის ქვემსუბუქი წონის UFC-ის პირველი ქართველი ჩემპიონი ილია თოფურია, როგორც კეთილი ნების ელჩი, განაგრძობს ფონდთან აქტიურ თანამშრომლობას და მუდმივად ეხმარება სიმსივნით დაავადებული ბავშვების მკურნალობასა და რეაბილიტაციას! „ბერი ანდრიას ფონდი“ და დედა თინათინი გულწრფელ მადლობას უხდიან ჩემპიონს თანადგომისათვისა და კეთილ საქმეში მონაწილეობისთვის“,** – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურია საქართველოში 2 დღის წინათ ჩამოვიდა და დღეს საქართველო-ლუქსემბურგის საფეხბურთო მატჩს დაესწრება, სადაც საჩემპიონო ქამარს წარადგენს.

პირნათელნი

## ლიპომ და ჭრიკიმ კარიერა დაასრულეს




**ქართული ძიუდოს ლეგენდებმა, ვარლამ ლიპარტელიანმა და ავთანდილ ჭრიკიშვილმა კარიერა დაასრულეს.**

ორივე მათგანის ძიუდოდან წასვლის ცერემონია თბილისის გრანდ სლემზე გაიმართება. 23 მარტს ჭრიკიშვილს გააცილებენ, ხოლო 24 მარტს – ლიპარტელიანს.

ვარლამ ლიპარტელიანმა კარიერის განმავლობაში სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატი. გარდა ამისა, 6-ჯერ ვერცხლის მედალს დაეუფლა, ერთხელ – ბრინჯაოს. მსოფლიოს ჩემპიონატზე ვარლამის მონაგარი 3 ვერცხლი და 3 ბრინჯაოა, ხოლო ოლიმპიადაზე ერთხელ ვერცხლს შესწვდა. გარდა ამისა, მან სხვადასხვა ტურნირებზე, გრანდ სლემებსა თუ გრან პრიზე, ჯამში 26 მედალი მოიპოვა.

ავთანდილ ჭრიკიშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე თითო ოქრო და ვერცხლი მოიხვეჭა, ევროპის 3-გზის ჩემპიონია, ერთხელ ვერცხლიც მოიპოვა, ხოლო 12 მედალი სხვადასხვა ტურებზე დაიმსახურა.

ხუთი რგოლი

## რიგიდან – პარიზისკენ

**გაიმართა პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების საკალათბურთო ტურნირის ჯგუფური ეტაპის წილისყრა. შესაბამისად, თუ საქართველოს ნაკრები ფორუმის საგზურს მოიპოვებს, უკვე ცნობილია რომელ კვარტეტში ითამაშებს.**

შვეიცარიაში დასრულებული წილისყრის შედეგად, რიგის საკვალიფიკაციო ტურნირიდან ოლიმპიადაზე გასული ნაკრები B ჯგუფში იასპარეზებს, სადაც მასპინძელი საფრანგეთი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გერმანია და იაპონია მოხვდნენ.

შეგახსენებთ, რომ რიგა საკვალიფიკაციო ტურნირს 2-7 ივლისს უმასპინძლებს, სადაც საქართველოსთან ერთად ოლიმპიადის 1 საგზურისთვის მასპინძელი ლატვია, ფილიპინები, ბრაზილია, მონტენეგრო და კამერუნი იბრძოლებენ.

კორტზე

## ორიენტირი – ათასეული

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა ესპანეთის ქალაქ მურსიას ჩელენჯერის მერვედფინალში გასვლა მოახერხა.**

ქართველმა ჩოგბურთელმა ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია, ხოლო ძირითადი ბადის პირველ წრეში ნიდერლანდელი იესპერ დე იონგი 6:3, 6:2 დაამარცხა.

ნიკა ორივე სეტში ფლობდა უპირატესობას, აკონტროლებდა თამაშს და გამარჯვებაც მთლიანობაში ადვილად მოიპოვა.

მერვედფინალში ბასილაშვილი ფრანგ უგო ბლანშეს დაუპირისპირდება. ქართველი ამჟამად ATP-ის რეიტინგში 1 086-ე პოზიციაზეა, არადა, 5 წლის წინათ კარიერაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა და მე-16 ადგილზე იყო.

კოლეგა



## მშვიდობით, „ეგრისის“ ტრფიალო მეგობარო!

**ცნობილი რუსი საფეხბურთო კომენტატორი ვასილი უტკინი მოულოდნელად, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

**უტკინის გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა. მან პოპულარობა 90-იანი წლების შუაში მოიპოვა NTV-სა და NTV plus-ზე მუშაობით, სადაც იყო კომენტატორი, ჟურნალისტი და გადაცემა „საფეხბურთო კლუბის“ წამყვანი.**

**2010-2015 წლებში უტკინი NTV plus-ის მთავარი რედაქტორი იყო, ხოლო ბოლო პერიოდში იუთუბზე საკუთარი არხი ჰქონდა, სადაც განაახლა ცნობილი გადაცემა „საფეხბურთო კლუბი“.**

**2004-2005 წლებში ვასილი უტკინი ზედიზედ ორჯერ დაასახელეს საუკეთესო კომენტატორად. ის ასევე ფლობდა სამოყვარულო საფეხბურთო კლუბ „ეგრისს“. სახელი შემთხვევით არ შეურჩევია – ვასილი უტკინი საქართველოსადმი სიმპათიას არასდროს მალავდა.**

ოვალური ბურთი

## ზედიზედ მეორედ და ისტორიაში მეექვსედ

**ზედიზედ მეორედ და ისტორიაში მეექვსედ 6 ერის გათამაშება ირლანდიის მორაგბეთა ნაკრებმა მოიგო. მეხუთე ტურის შეხვედრაში ჩემპიონებმა შოტლანდიასთან 17:13 გაიმარჯვეს და მეორე ადგილზე გასულ ფრანგებს 5 ქულით აჯობეს.**



ირლანდიელებმა 2 ლელო მიითვალეს, რომელიც შეიჰანის და პორტერის ანგარიშზეა, ხოლო შოტლანდიელებმა მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე მეტოქის ჩათვლის მოედანი ერთხელ აიღეს და ეს წარმატებისთვის საკმარისი არ გამოდგა.

ენდი ფარელის გუნდი ერთი ტიტულით ჩამორჩება ინგლისს, რომელმაც 6 ერი მოგებით ბოლოს 2020 წელს დაასრულა. სწორედ მათ ერგოთ მესამე პოზიცია წლევანდელ გათამაშებაში. ინგლისელებმა ბოლო შეხვედრა ფრანგებთან დაძაბულ ბრძოლაში 33:31 დათმეს.

მეოთხეზე 12 ქულით შოტლანდია, მეხუთეზე 11 ქულით კი იტალია გავიდა, ხოლო 4 ქულით ბოლო ადგილი უელსის ნაკრებმა დაიკავა.




# 16 და 17 წლის მოზარდები გაუბედურდნენ...

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისა და სექსუალური ხასიათის ქმედების იძულების ფაქტზე დაკავებულია 17 წლის არასრულწლოვანი.**

გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის გაზაფხულზე, არასრულწლოვან ბრალდებულს სოციალურ ქსელ „მესენჯერში" მიმოწერა ჰქონდა 16 წლის დაზარალებულ გოგოსთან, რა დროსაც დაზარალებულმა ნებაყოფლობით გაუგზავნა საკუთარი ცეკვის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. მოგვიანებით, ბრალდებულმა დაზარალებულს მოსთხოვა ინტიმური შინაარსის ვიდეოს გადაღება და მასთან გადაგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ კომპიუტერული პროგრამა „ფოტოშოპის" მეშვეობით მისი ცეკვის ვიდეოს დაამონტაჟებდა ისე, რომ შექმნილ ფოტოებზე დაზარალებული გამოსახული იქნებოდა შიშველ მდგომარეობაში, რასაც შემდგომში გაუვრცელებდა მის მშობლებთან. მუქარის შედეგად, იმავე დღეს, დაზარალებულმა არასრულწლოვანმა თავისი საცხოვრებელი ბინის სააბაზანო ოთახში გადაიღო ინტიმური შინაარსის ვიდეო, რომელიც „მესენჯერის" საშუალებით ბრალდებულს გაუგზავნა.

ინტიმური შინაარსის ვიდეოს გადაგზავნის შემდეგ, ბრალდებულმა დაზარალებულს სექსუალური ხასიათის ქმედებების განხორციელება, შემდეგ ვიდეოზე გადაღება და გადაგზავნაც მოსთხოვა, ხოლო უარის შემთხვევაში, უკანონოდ მოპოვებული ზემოთ მითითებული ინტიმური შინაარსის ვიდეოჩანაწერის მშობლებთან და ნათესავებთან გავრცელებით დაემუქრა. მუქარისა და იძულების შედეგად, შეშინებულმა დაზარალებულმა არასრულწლოვანმა სექსუალური ქმედების ამსახველი ვიდეო ჩაწერა და ბრალდებულს გადაუგზავნა.

დაზარალებულის მომართვის შემდეგ, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვით, საგამოძიებო მოქმედებები მოკლე დროში წარმართა. პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონში, ნანახი და ამოღებული იყო არასრულწლოვანი გოგოს ამსახველი ინტიმური შინაარსის მასალა, რის შემდეგაც ბრალდებული დააკავეს.

დანაშაულში მხილებულ არასრულწლოვანს ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების ფაქტზე წარედგინა. დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# „სილქნეტი" მონაცემების გაჟონვასთან დაკავშირებით გვამცნობს, რომ...

**Silknet-დან მონაცემების გაჟონვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და ამბობს, რომ მოკვლევა სავარაუდოდ, 2 000-მდე პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების უნებართვო წვდომისა და გამჟღავნების შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს.**

„სილქნეტი" ამბობს, რომ არ მომხდარა აბონენტთა ზარების, ტექსტური შეტყობინებებისა და სხვა ტელეკომ სერვისების ინფორმაციის კანონსაწინააღმდეგო გავრცელება.

**„კომპანია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ არ მომხდარა აბონენტთა ზარების, ტექსტური შეტყობინებებისა და სხვა ტელეკომ სერვისების ინფორმაციის კანონსაწინააღმდეგო გავრცელება. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა,**



**გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება კომპანიის ფუნდამენტური საკითხებია.**

**სავარაუდო კომპიუტერული ინციდენტის ფაქტთან დაკავშირებით კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსთან, როგორც კიბერუსაფრთხოების რეგულატორთან, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, და მასთან ერთად ახორციელებს მოცემული ინციდენტის აღკვეთის, კვლევისა და სამომავლო პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებებს.**

**უახლოეს პერიოდში, ინციდენტის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გადაწყდება შემდგომი სამართლებრივი რეაგირების საკითხებიც. თემის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, კომპანია „სილქნეტი" პირველი შესაძლებლობისთანავე ეტაპობრივად გაასაჯაროებს აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციას იმ მოცულობით, რომ საფრთხე არ შეექმნას მიმდინარე კიბერუსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებების ეფექტიანობასა და შემდგომი გამოძიების ინტერესებს".**

# ოზურგეთი-თბილისის მატარებელი ლიანდაგიდან გადავიდა

**ოზურგეთი-თბილისის მატარებელი ლიანდაგიდან გადავიდა. შემთხვევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ციხისფერდთან მოხდა. მატარებელში მგზავრები იმყოფებოდნენ, თუმცა არავინ დაშავებულა.**

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია და რკინიგზის წარმომადგენლები. ადგილობრივები ამბობენ, რომ



მიზეზი გაუმართავი ლიანდაგია. მატარებლის ერთ-ერთი მგზავრი ყვება, რომ მოქალაქეებს არავინ დახმარებია და ბარგით მოუწიათ ალტერნატიული გზა მოეძებნათ დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად.

რკინიგზაში განაცხადეს, რომ მატარებლის ელმავალი და პირველი ვაგონი სოფელ ნატანებთან აცდა ლიანდაგს. ამ დროისთვის მიმდინარეობს მოკვლევა და შემთხვევის გამომწვევი მიზეზის დადგენა.

# ახალი ინფორმაცია შემზარავი ავარიის დროს დაშავებული 7 წლის გოგოს შესახებ




**დედოფლისწყაროში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული 7 წლის გოგონა თბილისში გადაიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, არასრულწლოვანს ქალა-ტვინის ტრავმა აქვს მიღებული.**

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია, ამიტომ პაციენტი თბილისში, ინგოროყვას კლინიკაშია გადაყვანილი. გოგონა იმ ავტომობილში იმყოფებოდა, რომელიც 18 მარტს, ქალაქ დედოფლისწყაროში, სველ გზაზე მოცურდა და ბოძს შეეჯახა. მიღებული ტრავმებით, ავტომობილის მძღოლი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის 44 წლის პედაგოგი, ადგილზე გარდაიცვალა.

# ამერიკაში კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა

**ეს სამწუხარო ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა. „სამწუხაროდ, გარდაიცვალა ქართველი ემიგრანტი, გია გვახარია.**

## სანთელი



**გივი აბდუშელიშვილი ოჯახით — ნესტანი, ზურაბი, დიმიტრი, მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიყრმის მეგობარი, თაობის ცნობილი და წარჩინებული მოღვაწე, სიკეთით, სიყვარულით, ვაჟკაცობით გამორჩეული პიროვნება**

**გია (უფროსი) რამიშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს — ქალბატონ მანონისა და შვილებს გია (უმცროსს) და ქეთის.**

# გორში მამაკაცი ხელის ტრაქტორმა ჩაითრია და დაიღუპა

**გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში კაცი ხელის ტრაქტორმა ჩაითრია, რის შედეგადაც ის ადგილზე დაიღუპა.**

ინფორმაციის გამოცემა „მოზაიკა" ავრცელებს — „ხელის ტრაქტორმა მთლიანად ჩაითრია და მოკლა" — უთხრეს გამოცემას. გარდაცვლილი 40 წლამდე ასაკისაა.

# 75 წლამდე ქალის გაუპატიურების მცდელობისთვის მეზობელი დააკავეს!

**სავარაუდო სექსუალური ძალადობის მცდელობის ფაქტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში — გასულ ღამეს 75 წლამდე ასაკის ქალს მეზობელი, 50 წლამდე კაცი საკუთარ სახლში თავს დაესხა და მასზე ძალადობა სცადა. კაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქალმა მისი ამოცნობა მას შემდეგ შეძლო, რაც მოძალადეს ნიღაბი ჩამოხსნა, რომლითაც ის სახეს იფარავდა. ამის შემდეგ კაცი გაიქცა, თუმცა ის დაკავებულია.**

ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 19-137-ე მუხლით, რაც გაუპატიურების მცდელობას გულისხმობს.

# თბილისში ავარიული სახლები ინგრევა!

**ავლაბარში სახლის ჩამონგრევის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა,** — ინფორმაცია „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" გაავრცელა. დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი.

* * *

**ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის 48 ნომერში ძველი სამსართულიანი სახლის საყრდენი კედელი ჩამოინგრა. ნგრევის მომენტში ადგილზე გამგეობის მიერ დაქირავებული კომპანიის 3 თანამშრომელი მუშაობდა, რომლებსაც შენობაში საკანალიზაციო მილები უნდა მოეწყოთ.**

მოსახლეობა ამბობს, რომ სამი ადამიანი შემთხვევით გადარჩა. მათ ამ დრომდე არ იციან, უსაფრთხოა თუ არა სახლში დაბრუნება და გაუძლებს თუ არა კონსტრუქცია საყრდენი კედლის დაზიანების შემდეგ. ნგრევის შედეგად 30-მდე ოჯახი უსახლკაროდ რჩება. სავარაუდოდ, მათ დროებით სასტუმროებში გადაიყვანენ.

მიმდებარე ტერიტორიაზე დროულად მივიდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები, პოლიციელები, გამგეობისა და თბილისის მერიის წარმომადგენლები. ადგილობრივების განცხადებით, სახლს ჰქონდა პრობლემა, რომლის შესახებაც „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერს" რამდენჯერმე მი-





## სიბრძნე სიცილისა

— ბიჭო, იცი, რომ აქლემს შეუძლია ორი თვე წვეთი არ დალიოს?!

— ვაა, ეს რა მაგარი ნებისყოფა ჰქონია, კაცო!

* * *

— არ გრცხვენია?! ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი ხარ და ქუჩაში ხელგაწვდილი დგახარ, მოწყალებას ითხოვ! მუშაობა არ გიცდია?!

— რატომ მეჩხუბებით, ქალბატონო, მე ხომ მხოლოდ სამსახურის შემდეგ ვმათხოვრობ!..

* * *

ჩემს მეზობელ გრიშას ლამის ტვინში სისხლი ჩაექცა, როცა საკუთარ საძინებელში თავისი ცოლის საყვარელს წაასწრო ვიღაც უცხო ქალთან.

* * *

უმამაკაცებოდ დედამიწა იქნებოდა მხიარული, შეზარხოშებული, მსუქანი და უმაკიაჟო ქალების სამყარო.

* * *

ჭიჭიკიეს უბანში „ორტომეულს“ უძახიენ!

— რეიზა?

— იმიზა, რომე მის ცოლსაც ტომა ჰქვია და სიდედრსაც!

* * *

— ისე, კი ამბობენ, ყველაფერი გაივლისო, მაგრამ ხომ შეიძლება ზოგი რამ გაიჭედოს?

* * *

ცხოვრება ტომრებში სირბილს ჰგავს — იგებს ის, ვინც უტომროდ გარბის.

* * *

— ქალიშვილო, თუ შეიძლება, მომეცით ერთი აბი.

— რომელი აბი გინდათ?

— თეთრი.

— ეს, ბატონო, აფთიაქია, ჩვენ ბევრი თეთრი აბი გვაქვს!

— ჰოდა, ხომ გეუბნებით, ერთი აბი მომეცით, თუ შეიძლება!

* * *

— „ამიერიდან თქვენ კანონიერად შეუღლებული ცოლ-ქმარი ხართ! შეგიძლიათ აკოცოთ ერთმანეთს!“ — აი, ამ სიტყვების გაგონებაზე კი გამოფხიზლება დავიწყე...

* * *

რო დაუკვირდე, გაცილებით უფრო სახალისოა იფიქრო, რომ უკვე მეხუთე ათეული კი არ „დაახურდავე“, არამედ, ჯერ კიდევ პირველი ასეულიც არ ჩაგითავებია...

* * *

გეყოფათ! ნუღარ მიგზავნით კომუნალური გადასახადების ქვითრებს! ბოლოს და ბოლოს, მე ეს არ მსიამოვნებს!

# გინდ - დაიჯერეთ, გინდ - არა!

## მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა ფინეთია — რომელ ადგილზეა საქართველო?



**20 მარტი ბედნიერების საერთაშორისო დღეა.** ოქსფორდის უნივერსიტეტმა ამ დღეს გამოაქვეყნა ტრადიციული მსოფლიო ბედნიერების ანგარიში, რომელიც გაეროს მხარდაჭერით და სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციის თანამშრომლობით მზადდება.

2024 წლის ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა **ფინეთია**. მეორე ადგილზეა **დანია**, მესამეზე – **ისლანდია**, მეოთხეზე – **შვედეთი** და მეხუთეზე – **ისრაელი**. ბოლო, 143-ე ადგილზე ავღანეთია.

ბედნიერი ქვეყნების ჩამონათვალში **საქართველო 91-ეა**. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველოზე უფრო ბედნიერი **სომხეთია (82)**. **აზერბაიჯანი 101-ე** ადგილზეა.

ანგარიში 2012 წლიდან მზადდება. მისი საფუძველია საზოგადოებრივი აზრის კვლევის ამერიკული ინსტიტუტის, პალლუპ-ის მიერ მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. ბედნიერების ხარისხი განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის ცხოვრების საშუალო დონით, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, სოციალური მხარდაჭერით, შემოსავლების დონით, ჯანმრთელობით და ქვეყანაში კორუფციის მაჩვენებლით.

ფინეთი ზედიზედ რამდენიმე წელია პირველ ადგილზეა. ფინელები ყველაზე ბედნიერი იყვნენ კორონავირუსის პანდემიის დროსაც.

ანგარიშის არსებობის ისტორიაში პირველად, ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია წელს აღარ არიან ბედნიერი ქვეყნების პირველ ოცეულში. მათი ადგილები დაიკავეს კოსტა-რიკამ და ქუვეითმა.

## ორმოცდაათი ქართული ღვინის კომპანიის ხელხვავი ამერიკიდან




**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo and Partners“-ის ორგანიზებით, აშშ-ში, ტექსასის შტატის სომელიეთა კონფერენციის (TEXSOM) ღვინის საერთაშორისო კონკურსზე სხვადასხვა ქართული კომპანიის 25-მა ღვინომ პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა.**

TEXSOM-ის კონკურსზე წარდგენილი იყო 50 ქართული კომპანიის სხვადასხვა სახეობის ის ქართული ღვინოები, რომლებიც უკვე იყიდება აშშ-ის ბაზარზე.

**„ქართული ღვინის წარმატება მსგავს საერთაშორისო პრესტიჟულ კონკურსში მიანიშნებს მის მაღალ ხარისხზე და, ამავე დროს, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას და გაყიდვების ზრდას. გამარჯვებული 25 ღვინიდან ერთმა ღვინომ მოიპოვა პლატინის, ხუთმა – ოქროს, ათმა – ვერცხლის და ცხრამ – ბრინჯაოს მედალი.**

ტექსასის სომელიეთა კონფერენცია TEXSOM-ი 2005 წელს დაარსდა ადგილობრივი სომელიეებისთვის პროფესიული სტანდარტებისა და განათლების ამაღლების მიზნით. კონფერენცია შემდგომ გადაიქცა ღვინის სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ღონისძიებად.

## ხანძარმა გენუას პორტში 8 ნავი გაანადგურა



**19 მარტს, დილით ადრე, გენუას დასავლეთით მდებარე პრას პორტში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც რვა ნავი გაანადგურა. ტურისტულ ზონაში ხანძარს გენუას სახანძრო-სამაშველო სამსახურის ორი ჯგუფი ებრძოდა.**

ოპერაციაში მყვინთავებიც მონაწილეობდნენ. დილის 7 საათისთვის შესაძლებელი გახდა ხანძრის ლოკალიზება. ხელისუფლების განცხადებით, მიმდინარეობს ხანძრის მიზეზების გამოძიება და შეგნებულად ცეცხლის გაჩენა ჯერ არ არის გამორიცხული. ადგილობრივი მედიის ცნობით, 2023 წლის ნოემბერში, ამავე პორტში, ხანძრის შედეგად, ნიჩბოსნობის კლუბის ხუთი ნავი განადგურდა.



## საგანგებო მდგომარეობა ისლანდიაში

**ისლანდიაში, ვულკანის მორიგი ამოფრქვევის გამო, საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.** ადგილობრივმა ხელისუფლებამ, უსაფრთხოების მიზნით, დასახლებული პუნქტიდან და ტურისტული კურორტიდან ხალხი გაიყვანა. დეკემბრის შემდეგ, ეს ვულკანის მეოთხე ამოფრქვევაა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 25 მარტს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7106; ევრო - 2.9383;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4419;
100 რუბლი - 2.9312; თურქული ლირა - 0.0839;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5954;
1000 სომხური დრამი - 6.7525

### ამინდი 21 მარტისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –1, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –4, | დღე +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –1, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე +14 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge